# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყვე-
ლასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწ-
მენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლე-
ბლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივი-
ყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 65-66 ნიუ-იორკი, ივნისი 1964 წ. GEORGIAN OPINION NEW JORK, JUNE 1964


**ნიუ-იორკი, ივნისი 1964 წ.**

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

1918 წლის მაისის 26-ს, საქართველოს პარლამენტმა მთელ სამყაროს აცნობა, რომ საქართველომ თავისი თავი იცნო, ის თავის ისტორიულ ტრადიციას დაუბრუნდა და თავისუფალ ერთა ოჯახში შედის, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ეს იყო მთელი საუკუნის გასწვრივ, მთელი ქართველი ერის თავდაუზოგველი შრომისა და ბრძოლის აპოთეოზი.

1801 წლიდან, ე. ი. როცა რუსეთმა მზაკვრულად და მუხანათურად წარგვტაცა დამოუკიდებლობა და მრავალჭირნახული ჩვენი სამშობლო რუსეთის ორ გუბერნიათ გამოაცხადა, ამ დროიდან მოყოლებული, ქართველ ხალხს არც ერთ მომენტში არ შეუწყვეტია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

ეროვნული საფრთხის წინაშე გაერთიანდა ერეკლეს და გიორგი მეფის მრავალრიცხოვანი ოჯახი: ვაჟები თუ ქალები, მხნედ და ენერგულად გამოვიდნენ სამშობლოს უზენაეს ინტერესების დასაცავად და ბაგრატიონთა გვარის ისტორიას ერთი ზედმეტი, ბრწყინვალე და თვალწარმტაცი ფურცელი შემატეს.

ეს არ იყო სამეფო დინასტიის მიერ დაკარგული უფლებების და მდგომარეობის აღდგენისათვის ბრძოლა, როგორც ამას რუსული, ან რუსულ-საბჭოური „ისტორია“ ცდილობს დაამტკიცოს. ამ შემთხვევაში აუხსნელი იქნებოდა ბაგრატიონების, ორბელიანების და საზოგადოთ, ბრწყინვალე წოდების გვერდით, „მასის“ ხილვა და მონაწილეობა. კიკნაძეები, დოდაშვილები, რაზმაძეები და ათასები და ათი ათასები მსგავსნი მათნი, „დაკარგული უფლების და დიდების“ აღსადგენად ვერ იბრძოლებდნენ, რადგან ეს „დიდება“ მათ არასოდეს არა ჰქონიათ და ვერც დაკარგავდნენ. მათ დაკარგეს ყველაზე დიდი „დიდება“, ყველაზე დიდი „უფლება“, უფლება ეროვნული თავისუფლების, უფლება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და ამ უფლებისათვის ბრძოლამ გააერთიანა მთელი საქართველო: ერი და ბერი, აზნაური და გლეხი, მდიდარი და ღარიბი და ყველა ერთად, ერთნაირი თავდაუზოგველობით და ენტუზიაზმით იბრძოდნენ ეროვნული არსებობის „უფლების“ აღსადგენად.

მრავალ აჯანყებების და შეურიგებელ ბრძოლების შემდეგ „თერგდალეულების“ სასახელო მეთაურმა ილიამ, ბრძოლის ტაქტიკა გამოცვალა. მან საჭიროთ დაინახა ახალი დროის შესაფერი ხერხი გვესწავლა, დროის შესაფერი ცოდნა შეგვეძინა, ბრძოლებში მიღებული ჭრილობებისთვის მალამო დაედო და გაჯანსაღებული ეროვნული ორგანიზმისთვის ბრძოლის ახალი სული ჩაებერა. „თერგდალეულების“ ღირსეული მეთაური სულ მალე გადაიქცა მთელი ქართველი ერის ღირსეულ ლიდერათ.

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს“ მალე გადაიქცა მთელი ქართველი ერის ბრძოლის და შრომის მიზნად და, როდესაც 1917 წ. რუსეთის იმპერია დაირღვა, საქართველო სრულიად მომზადებული იყო ეროვნულ-დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ამგვარად გაპოხიერებულმა ნიადაგმა წარმოშვა 1918 წ. 26 მაისის დიადი აქტი.

მას შემდეგ 46 წელიწადი გავიდა. აქედან ორმოცდამეოთხეჯერ უცხოეთში ვდღესასწაულობთ ჩვენი სამშობლოს აღდგენის თარიღს. მტერმა, ამ შემთხვევაში წითელყაბალახიანმა, რუსეთმა, კვლავ წარგვტაცა დამოუკიდებელი და თავისუფალი ცხოვრების უფლება, კვლავ მიისაკუთრა ღვთისმშობლის წილხვდომი წალკოტი და 44-ი წლის განმავლობაში არ ნახული სიმკაცრით და მრისხანებით ფლობს და განაგებს ჩვენს სამშობლოს.

დღესაც აქ შევიყარენით, რათა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ საქართველოს დამოუკიდებლობის ბრწყინვალე თარიღი. შევიყარენით, რათა ერთხელ კიდევ ვამცნოთ კულტურულ კაცობრიობას, თუ რა მზაკვრულად და მუხანათურად გადათელა საქართველოს ეროვნული უფლებები ორჯერ და ორივეჯერ რუსეთმა. შევიყარენით, რათა მოწიწებით პატივი ვცეთ იმ გარდასულ თაობებს, რომლებმაც თავდადებული შრომით და ბრძოლით მოამზადეს სულიერ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რამაც შესაძლებელი გახადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ყოველი წრე, ყველა ჯგუფი, ყველა წოდება ერთნაირი მონდომებით და ხალისით მიძღვნოდა. შევიყარენით, რათა მოვიგონოთ იმათი სახელები, რომლებმაც 1918 წ. 26 მაისს, ჩვენს დედაქალაქში აღმართეს ეროვნული დროშა და სთქვეს: საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოაო. შევიყარენით, რათა მუხლმოდრეკილი თაყვანი ვცეთ იმათ ხსოვნას, რომლებმაც 1921 წლის შემდეგ, 26 მაისის აღსადგენად წარმოებულ ბრძოლებში მაღალი თავგანწირვის მაგალითები მოგვცეს და თავიანთი სისხლით განაცისკროვნეს სამშობლოს იდეა.

ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს, რომ თავისუფლების მოყვარული ქართველი ერი, ამ ბრწყინვალე თარიღის წლისთავზე, ამ მომენტში, თავის იდუმალი მისწრაფებებით ჩვენთან არის, უკეთ, ჩვენ ვართ მასთან. ჩვენ გამოვსახავთ მის იდუმალ ზრახვებს და ჩვენ ვატარებთ მისგან აღიარებულ 26 მაისის დროშას. ჩვენ, ვიმეორებთ, რადგან ჩვენს ერს ამის უფლება წართმეული აქვს. დღესაც მთელი საქართველო და მის ჰაერს ნატრული ემიგრაცია, ისევეა გაერთიანებული თავის ეროვნულ მისწრაფებებში, როგორც ყოველ ეროვნულ საფრთხის წინაშე, ისტორიულად იყო.

ყოველი ქართველის, შინ და გარეთ, შემაკავშირებელია ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები, საქართველოს მარადიულობის შეგნება, რომლის სიმბოლიური გამოსახულება 26 მაისის დროშაა.

1921 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მრავალმა ქარიშხალმა და ქარბუქმა გადაუარა ქვეყნიერებას. მსოფლიო რუკა აჭრელდა ახლად წარმოშობილი სახელმწიფოებით. უცვლელი დარჩა მხოლოდ რუსული კომუნისტური იმპერიალიზმი; უფრო გაანჩხლებული და აგრესიული, ვიდრე როდისმე ყოფილა და ეს, ე. წ. თავისუფალი მსოფლიოს დახმარების წყალობით.

უკანასკნელი ომის დროს „მეორე ფრონტის“ ნაადრევად გახსნით, მთელი აღმოსავლეთ ევროპის „მოწიწებით“ რუსეთისადმი მიძღვნით და მრავალმილიონ ტონობით ხორბლეულობის მიწოდებით, რუსული კომუნისტური იმპერია ისე გაზარდეს, ისე გაამაგრეს, რომ სრული თავისუფლება დაიმკვიდრა დაპყრობილ ქვეყნების „გადასახნავად“. საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმმა ყველაზე მწვავე ბედი მაინც ჩვენ სამშობლოს არგუნა: ჯერ ის „გადახნეს“ სტალინის ორგულობისათვის, მერე მას გულღვიძლი გამოუფათრეს „სტალინის ერთგულებისათვის“.

მართალია საქართველოს მრავალჯერ უნახავს უცხო ურდოების შემოსევა, გარეშე მტერი და მისი ძალმომრეობა, მაგრამ მას არასოდეს არ განუცდია ის სიმკაცრე, ის სისასტიკე, რომელსაც განვილი 44 წლის მანძილზე განიცდის.

წინათ, დამპყრობელი ურდოები საქართველოს აზვირთებული ტალღებივით მოასქდებოდნენ; ნიავღვარად გადაუვლიდა ჩვენს მიწა-წყალს და ქვეყანა ფეხზე დგებოდა. იწყებოდა ახალი ცხოვრება და გრძელდებოდა ისტორიული ტრადიცია. უმაგალითო გამძლეობით და მამულისადმი მიძღვნილობის მაღალი შეგნებით, საქართველომ თავისი ეროვნული პიროვნება უნაკლოდ მოიტანა გასული საუკუნის დამდეგამდე. მაგრამ დღევანდელმა ჩვენმა მპყრობელმა და მოძალადემ, ნიავღვარივით კი არ გადაუარა ჩვენს მიწა-წყალს, არამედ ის იქ დაბანაკდა, დაისადგურა და ანადგურებს მის ნივთიერ და სულიერ საუნჯეს. ქართველებს გლეჯავენ მშობლიურ მიწას და „საერთო სამშობლო, საბჭოთა კავშირის“ შორეულ კუთხეებში ასახლებენ და მათ ადგილს უცხო ეროვნებებით ავსებენ. მრისხანე რუსიფიკაციის გარდა, მოსკოვი გენოსიდის წყალობითაც ცდილობს, ქართულ ჯიში ეროვნულ უმცირესობათ აქციოს თვით საქართველოს საზღვრებში.

უზომო გამოდგა ქართველი ერის გამძლეობა, მისი სულიერი სიმტკიცე, მისი მხნეობა და სიცოცხლის მაჯისცემა.

მას მოსტაცეს 26 მაისი, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს, მას წაართვეს სუვერენობა, მაგრამ ვერ დაიმონეს. მასში ვერ ჩაკლეს თვითმყოფობის სურვილი და დამოუკიდებელი არსებობის იდეა.

დღესაც ქართველი ერი ისე მტკიცედ, და ფხიზლად დგას ეროვნულ სადარაჯოზე, როგორც ის იდგა სამიათასი წლის გასწვრივ. რუსული იმპერიალიზმის მზაკვრობა-მუხანათობამ დუღაბათ შეკრა მთელი საქართველო; ის ერთ მთლიან ორგანიზმად აქცია და რუს დამპყრობელის ბოროტ ზრახვას თავისი ფოლადისებური ნებისყოფა დაუპირდაპირა. დღეს იქ აღარ არსებობს არც პოლიტიკური, არც სოციალური და არც სხვა რომელიმე სახის სხვაობა. დღეს იქ არსებობს ერთი პარტია, პარტია ეროვნული თვით არსებობის, არის ერთი დროშა, დროშა სამფეროვანი, სიმბოლო ეროვნული მთლიანობის და თავისუფლების, არის ერთი იდეა, იდეა 26 მაისის, სიმბოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის.

თავსუფალ ქვეყნებში მცხოვრებ ქართველების მოვალეობაა, ასევე ერთობილად და განუყოფელად მივეძღვნათ სამშობლოს გამანთავისუფლებელ ბრძოლას, როგორც იქ, დაპყრობილი ერი იბრძვის.

თუ მოვლენების ვითარებას კათგად ჩაუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ მდგომარეობა არც ისეთია, როგორიც მტერს გაახარებს.

საბჭოთა რუსეთის შეუწყვეტელ იმპერიალისტურ და ძირგამომთხრელ პოლიტიკამ მთელი მსოფლიო ორ შეურიგებელ ბანაკად გაყო და ომის აჩრდილი განუშორებლად თავს დაგვტრიალებს. ამას ვერ აიცდენს თავისუფალი დემოკრატიული სამყარო, ისევე, როგორც ვერ აიცდენს მზაკვრობისა და მუხანათობის ბუდე მოსკოვი.

ჩვენი ხსნაც ამაშია... გულში ვზარდოთ სამშობლოსადმი მიძღვნილობის გრძნობა... საქართველო იცოცხლებს და ამ ტყვეობიდანაც გამარჯვებული გამოვა, ვიდრე ყოველი ქართველის გულში ცოცხლობს 26 მაისის იდეა.

**ალ. ჩხენკელი.**

სიტყვა, წარმოთქმული ნიუ-იორკში საზეიმო კრებაზე.

## 26 მაისის დღესასწაულის გამო სათვისტომოს მიერ მიღებული მილოცვები

**ძვ. დრ. ო. ზალდასტანო:**

გმადლობთ თქვენი 11 მაისის წერილისათვის, რომლითაც პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა მინისტრს აცნობეთ, რომ შესდგება ქართული სათვისტომოს საზეიმო ყრილობა.

პრეზიდენტი და მინისტრი მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ დღევანდელი მდგომარეობა მათ ნებას არ აძლევს პირადათ უპასუხონ ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მოგონებებს დღესასწაულობენ.

ქართული სათვისტომოს მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა ამერიკის მთავრობისათვის ცნობილია. თქვენი სათვისტომოს მსგავსი ორგანიზაციები, ჩვენი დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან ის დიდ როლს თამაშობს ურთიერთ გაგებაში იმ მრავალ სხვა და სხვა ჯგუფებ შორის, რომლებსაც შეიცავს ამერიკული საზოგადოებრიობა.

მე ვიცი პრეზიდენტი და მინისტრი შეუერთდებიან ჩემს სურვილს: უსურვო თქვენს ორგანიზაციას წარმატება და ერთხელ კიდევ დაგიმოწმოთ, რომ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა მხარს უჭერს საბჭოეთში მოქცეულ ყველა ერების სამართლიან მოთხოვნილებებს, რათა ამ ერებს მიეცეს შესაძლებლობა ნებაყოფლობით აირჩიონ საკუთარი პოლიტიკური გზა.

**რობერტ მანინგ.**

მინისტრის შემცვლელი.

**ძვირფასო დრ. ზალდასტანო:**

უაღრეს სიამოვნებას განვიცდი იმის გამო, რომ შემიძლიან გულწრფელად მოგილოცოთ, ყველა დამსწრეს ქართული საზოგადოების მიერ გამართულ კრებაზე, რომელიც იხდის მოგონების დღეს, თბილისში ქართული პარლამენტის მიერ იმ მშვენიერი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

თქვენი საზოგადოება დიდი დაფასების ღირსია თავისი ფილანტროპიული მოქმედების გამო, რომელიც ღონისძიებას არ აკლებს, რათა შეუმსუბუქოს, მოახდინოს რეაბლიტაცია და დაეხმაროს უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს და ამავე დროს მისი მიზანია შეინახოს ქართული ტრადიცია და კულტურა.

ქართული წარმოშობის ხალხმა ჩვენ შორის უკვე მოიპოვა პატივისცემა და კეთილი სურვილები ყველასი, ვისაც კი შემთხვევა ჰქონდა მათთან შეხვედრის.

ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ დიდი სიმპატიით ვხვდებით მათ იმედებს, რომ ქართველი ერი ერთ დღეს აღიდგენს თავის დამოუკიდებლობას.

გულწრფელად თქვენი

**ნელსონ ა. როკფელერ.**

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი.

**დრ. ო. ზალდასტანს,**

ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი მილოცვა მოგონებისათვის შემდგარ ყრილობას, რომელსაც ადგილი ექნება მაისის 24-ს.

ქართველებმა უკვე დიდი ხანია დაიმსახურეს მსოფლიოს პატივისცემა და აღტაცება თავისუფლებისთვის მიძღვნილობის გამო.

ქართული საზოგადოების დღევანდელი მუშაობა, რათა დაეხმაროს და აღუდგინოს მდგომარეობა თავის უცხოეთში მყოფ თანამემამულეებს და შემოინახოს თავისი კულტურა, დიდათ საქებარია.

ამ შემთხვევაში თქვენ და თქვენი სანაქებო მუშაობა მთელ მსოფლიოს აგონებს, რომ თავისუფლება ყველა ხალხისათვის უნდა იყოს პატივცემული და დაცული.

**ჰუმბერტ ჰ. ჰუმბრი.**

ა. შ. შ. სენატორი.

**ძვირფასო დრ. ზალდასტანო:**

აღფრთოვანებული დავრჩი, როცა გავიგე, რომ მაისის 24-ს, ოფიციალური პიროვნებები, სტუმრები და ქართული სათვისტომოს წევრები თავს შეიყრით, რათა სიყვარულით მოიგონოთ 46 წლის წინ საქართველოს პარლამენტის მიერ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავი. რის შედეგათაც თქვენი ქვეყანა სუვერენულ სახელმწიფოდ იყო ცნობილი 26 სხვა და სხვა, და მათში, დიდი სახელმწიფოების მიერ.

მე კარგად მესმის ქართველების დიდი სურვილი და ოცნება, რომ ხელახლად აღიდგინონ დამოუკიდებლობა, როგორც ეს იყო მიზანი, ქართული პარლამენტისა ამ 46 წლის წინ.

თქვენი მაღალი მიძღვნილობით თავისუფლებისადმი, რომელიც ერთნაირად ეხება არა მარტო ქართველ ერს, არამედ ყოველ ერს, მე, როგორც შეერთებული შტატების სენატის წევრს მაძლევთ ღრმა შთაგონებას, რომ მიზანი, რომლისთვისაც ვხარჯავთ ენერგიას, ფულს და არ ვიშურებთ სიცოცხლესაც,—სწორია და სამართლიანი და, მაშასადამე, კიდეც გაიმარჯვებს.

ჩემი რწმენა იყო და არის, რომ ჩვენი მთავარი მოვალეობაა ცოცხლად შევინახოთ მსოფლიოში ყოველი დაპყრობილი ერის, მათში ქართველი ერისაც,—თავისუფლების იმედი, არ უნდა დაკარგონ გამძლეობა, გადაიტანონ ეს ტანჯვის მომენტი, რომელშიც ამ ჟამად იმყოფებიან და მივცეთ რწმენა, რომ მათი აღდგომის და დამოუკიდებლობის დღე კვლავ დადგება.

**ფრენკ ჰ. ლოჩ.**

ა. შ. შ. სენატორი.

**ძვირფასო დრ. ზალდასტანო:**

სიამოვნებით ვიყენებ შემთხვევას, რათა მიულოცო თქვენს სათვისტომოს მისი ქველმოქმედება.

თქვენი ორგანიზაციის მიზანი, რომ დაეხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 26 მაისის დღესასწაულის გამო სათვისტომოს მიერ მიღებული მილოცვები.

დასაწყისი იხ. 1-ლ გვ.

როს უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს და შეინახოთ თქვენი ძველი კულტურა, დიდ სამსახურს უწევს მსოფლიოში სოციალური სამართლიანობის გაბატონებას. ბოლოს ეს არის ისტორიული მოვლენის მოგონება,, რაც ყოვლად სასურველი და ადამიანურია.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ქართული რესპუბლიკა და მისი მოკლე ვადიანი დამოუკიდებლობა. ამავე დროს ჩვენ უნდა მივეძღვნათ საქართველოს განთავისუფლების საქმეს. უნდა ალვაგზნოთ ქართველი ერის იმედის ნაპერწკალი და ჩვენ სიამაყით უნდა უყუროთ 1918 წ. 26 მაისს, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და იმედით უცქიროთ იმ დღეს, როცა ეს კვლავ სინამდვილეთ იქცევა.

**ჰ. ვ. ლინდზი.**

ა. შ. შ. კონგრესმენი.

**ძვირფასო დრ. ზალდასტანო:**

დირექტორმა მთხოვა გადმოგცეთ, თუ რამდენი სიამოვნება განაცდევინა თქვენმა წერილმა, რომელიც ეხებოდა ქართული საზოგადოების მიერ მოგონებისათვის მიძღვნილ კრებას. ის იცნობს თქვენი ორგანიზაციის აქტიურ პროგრამას და განსაკუთრებით შეგნებული აქვს ის სიმამაცე, რომელსაც თქვენ დაუსრულებლივ ამჟღავნებთ.

სამწუხაროდ მისი დრო იმდენათ შეზღუდულია, რომ შეუძლებელია ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომ ბოდიშს იხდის, რომ პირადათ ვერ ახერხებს მომართვას. ამავე დროს დამავალა გადმოგცეთ მისი სურვილები: გისურვოთ წარმატება თქვენს დაუსრულებელ ღონისძიებების, რათა შემოინახოთ მდიდარი ქართული კულტურა და აგრეთვე თვითგამორკვევის პრინციპი ყველა ერებისათვის.

განმეორებით მადლობა თქვენი წერილისათვის, პატივისცემით

**ლესტერ ე. ედმონდ.**

ა. შ. შ. საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის ალმასრულებელი მოადგილე.

**ძვირფასო დრ. ზალდასტანო:**

ლიტვიელ-ამერიკული საზოგადოების სახელით გულწრფელად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წლის 26 მაისს. 1918 წ. საქართველო იყო ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მას შემდეგ, რაც 1921 წ. წითელმა ჯარმა დაამარცხა ქართული ძალები და იქ კომუნისტური რეჟიმი დაამყარა, ქართველი ერი, როგორც ლიტვიელები და მრავალი სხვა დაპყრობილი და რკინის ფარდაში გამომწყვდეული ხალხი. ებრძვის კომუნისტურ ტირანიას და ცხოვრობენ ერთ და იგივე იდეებით, რომ ისინიც თავის კუთვნილ ადგილს კვლავ დაიჭერენ თავისუფალ და დამოუკიდებელ ერთა ოჯახში.

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ დაპატიჟებისათვის და მწუხარებას გამოვთქვავ, რომ სხვა საქმეთა გამო ვერ შევძლებ თქვენს საზეიმო კრებას დავესწრო.

**პროფ. პ. ლეჟინს.**

ამერიკელ-ლიტვიელების საზოგადოების თავმჯდომარე.

**ძვირფასო დრ. ზალდასტანო:**

რქვენი დაპატიჟება ,რათა დავესწრო საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულს, რომელიც შესდგება მაისის 24-, ნიუ-იორკში, მივიღეთ.

სამწუხაროდ, ჩვენ საზოგადოებას თავისი წლიური ყრილობა აქვს და ეს შეუძლებელსახდის თქვენთან ვიყოთ ასეთ საყურადღებო შემთხვევაში.

ჩვენი გულწრფელი სურვილები თქვენთან არიან, ჩვენ იმედებთან ერთად და ვლოცულობთ, რათა განთქმულმა ქართველმა ერმა მალე აღიდგინოს თავისი დამოუკიდებლობა და მალე განთავისუფლდეს რუსულ კომუნისტურ იმპერიალიზმისაგან.

**პატივისცემით, ჟოზეფ ლესავიერ.**

უკრაინულ ეროვნულ საზოგადოების თავმჯდომარე.

**დრ. ო. ზალდასტანს:**

თქვენ შეყრილხართ, რათა იდღესასწაულოთ თქვენი ერის გრძელ ისტორიაში საუკეთესო მოვლენა.

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი რწმუნება ,რომ თურქესტანული ხალხი უერთდება თქვენს ბრძოლესბ. ჩვენ გვჯერა, რომ ყოველი თქვენთაგანი კვლავ იხილავს საქართველოს დამოუკიდებლობას და იქ იდღესასწაულებს მას.

**ისაკჟან ი. ნარზიკულ.**

თურქესტან ამერიკული საზოგადოების თავმჯდომარე.

**ძვირფასო დრ. ზალდასტანო:**

დიდი სიამოვნება იყო ჩამთვის ქართული სათვისტომოს საზეიმო კრებაზე დასწრება, რომლითაც აღნიშნეთ საქართველოს დამოუკიდებლობის 46 წლისთავი.

ცოცხლად შევინახავ თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეას და ყველგან ვილაპარაკებ მასზე.

დიდათ დავაფასე თქვენი მიწვევა და მოხარული ვიქნები უფრო ახლო გავეცნო თქვენს ორგანიზაციას, რომელსაც ჩვენ ძალიან ვაფასებთ.

**მ. მ. უოდსპუნ.**

ყოფილი კაპიტანი.

## „პატიოსანი და ძვირფასი თვლები“

„აწმყო თუ არა გწყალობს,
„ მომავალი ჩვენია...“

მრავალჯერ გვითქვამს, თუ რა მყარ საძირკველზე აღიმართა ჩვენი 26 მაისის დროშა. რა გრძელი, მძიმე, მაგრამ მასთან სახელოვანი და საამაყო იყო გზა, რომელიც მრავალმა თაობამ გარდალახა ჩვენი ეროვნული აღდგომისათვის. ის არა ყოფილა შემთხვევითი „ისტორიის განხრის“ ნაყოფი, არც ვისიმე წყალობა, არც რუსეთის რევოლუციის ლოღიკური შედეგი. ჩვენ გვახსოვს, ვნახეთ, რომ ის „ლოღიკა“ სრულ ულოღიკობის მორევში გადაეშვა და დიდი რუსეთის სივრცენი ანარქიის ცეცხლში გაეხვია. ყველგან აწყვეტილიყო ველური პოტენცია რღვევისა, დატაცების, განადგურების და სამოქალაქო ომისა.

მთელს ამ ბობოქრება-რღვევაში გასაოცარი იყო, რომ იმპერიის ყველაზე ნევრალგიურ ადგილას, ამიერ-კავკასიაში, სადაც გაშლილი იყო რუსეთის მრავალრიცხოვანი არმია, არმია უკვე ანარქიის და სტიქიურ განადგურების ტალღებად აზვირთებული, საქართველოს წასალეკად რომ დაძრულიყო, „საქართველოს კარიბჭე“ შედგა, იგი ვერ შეარყია. ოაზისი მიუდგომელი გახდა.

ბოლშევიკურმა სტიქიამ ყველგან „კლასთა და წოდებათა“ ომი გააჩაღა, „ნაძარცვის ძარცვის“, შურისძიების, ტერორის და დაუნდობლობის ლოზუნგები გადაისროლა, შინ და გარეთ სისხლის ტბები დაადინა, მაგრამ პატარა საქართველოს ხალხი ვერ გააპო. მის წიაღში შინაგანი ბრძოლა ვერ გააჩაღა. ოაზისი ოაზისად დარჩა და ანარქიით მოცულ რუსეთის საუკეთესო შვილები, თუ კი რომელიმე გზით ამ ოაზისთან მიახლოვების საშუალებას იპოვნიდნენ და ქართულ მიწაზე ფეხს დადგამდნენ, თავს საფრთხიდან გადარჩენილად სთვლიდნენ გული საგულეში უბრუნდებოდათ.

ბევრი გვინახავს, გვახსოვს, „სიმინდის რესპუბლიკას“ რომ შემოეხიზნნენ, სული მოითქვეს, უშიშარი თავშესაფარი ჰპოეს და საზრდო და საქმეც გაიჩინეს. ისიც გვინახავს და გვახსოვს, როგორ უმადურად გადაგვიხადეს მძიმე დროში გულუხვი მასპინძლობა... გვახსოვს, როგორ შეხვდნენ წითელ არმიას და ბოლშევიკურ ბანდებს აღტაცებულნი, მოკავშირენი, რომელთაც ქართველობა უკვე გათამამებულთავგასულ ბრბოდ მიაჩნდათ, ხოლო მისი მიწა წყალი, ქონება და დოვლათი რუსეთის კანონიერ საკუთრებად. მაგრამ ჩვენ ამ ჟამად მაშინდელ გულისტკივილებზე და სტუმართა უმადურობაზე არ შევჩერდებით. ესეც ბუნების და ერის თვისების საქმეა: გაბატონებული, დიდი ერის და დაპყრობილი პატარა ხალხისა, რომელიც ისტორიულ თავის რაინდობას მაინც ინახავს.

დღეს, როცა ჩვენი „ოაზისის“, ეროვნული კერის აღდგენის იმ ისტორიულ დღიდან უკვე 46 წელს ვითვლით, არ გვინდა ამგვარ „წვრილმანებზე“ შევჩერდეთ... გვჯერა მიუდგომელი კილო სინდისის სასწორს ჩვენკენ გადმოხრის. მაგრამ ჩვენ გვინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ის დიდი აქტი, ქართველი ერის სუვერენობის აღდგენისა, არც შემთხვევა იყო, არც „ნაყოფი“ რუსულ რევოლუციისა. შვიდმნათობიანი ჩვენი 26 მაისი იყო ვიმეორებთ, ნაყოფი ქართველთა ეროვნული სიმწიფისა, მისი ბრძოლებისა და შინაგანი მთლიანობისა.

საქართველოს განთავისუფლება არა რომელიმე კლასის, წოდების თუ ჯგუფის საქმე იყო, არამედ მთლიანად ქართველი ხალხისა, რომელმან თავისი თავი დიდი ხნიდან მონახა და 1917 წლის რევოლუციით მხოლოდ ისარგებლა.

ერმა, როგორც მონოლიტურმა ძალამ, თავისი რაობა დევნილად და დამცირებულად მიიჩნია, უსამართლოდ, ვერაგულად მოტყუებულად და შინაგან გადაწყვიტა: „ჩვენი თავი კვლავ ჩვენადვე უნდა გვეყუდნოსო“

ამიტომ ხდებოდა, რომ უცხო მოგზაურთ,

## ქართველი ქალი საბჭოთა საქართველოში.

„ქართველი ქალი და 8 მარტის დღესასწაული“

ქართველი ქალი დღეის პრესაში და მწერლობაში.

(წერილი მესამე).

წინა წერილებში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „შრომის გმირი“, მედლიანი ქალები, რომელთ სხვათა წასაქეზებლად მოსკოვის ყრილობებზე ისწრებენ, არა მხოლოდ საკუთარს, არამედ სხვათა ოჯახებსაც ანგრევენ.

ნგრევა ხდება ურთი-ერთის გამომწვევ „სოფიო-ევგენიების“ მხრივ სრულიად შეუგნებლად, მათდა უნებურად, მაგრამ პარტიის და მთავრობის მიერ მზაკვრულად და ღრმად ჩაფიქრებულად.

აი, რა გზით ხდება ეს: „კოლექტივის“ ფარგლებში მომუშავე ქალმა იმდენად უნდა დასწუროს თავისი ენერგია, ისე უნდა გამოიფიტოს, რომ მას არც უნარი, არც ძალა აღარ უნდა დარჩეს, რომ საკუთარ კერას მიხედოს...

მას არა მხოლოდ ფიზიკური ძალა უნდა დაეწუროს, არამედ ის ისე უნდა მოდუნდეს, რომ ხალისი მოეშალოს საკუთარი კერის მართვაგაძღოლისა. აი, სათავე, საიდანაც წარმოდინდება ის დაუსრულებელი „შეჯახება“, „დავა“, „გაძულება“ ოჯახურ ატმოსფეროში, როცა ქმარი ცალკე, თავისკენ იწევს, ხოლო შვილები ოჯახურ ჩარჩოებს გაურბიან და სადმე უსულოდ და უსიყვარულოდ იზრდებიან. ასე ხდება ოჯახის დაშლა.

დღეის მონათა არმიის პატრონი,—სახელმწიფო და პარტია, ამას აღწევენ სწორედ ამ „მედლებით“. ათასებში თითო-ოროლას წაქეზებით და დაჯილდოვებით. წლების განმავლობაში, უმძიმეს პირობებში დაზგასთან, თუ ძროხებთან, თუ ჩაის პლანტაციებში მდგომი მუშა ქალი, კერას და ოჯახს ფიზიკურად და სულიერად უნდა სავსებით გამოეთიშოს, წელებზე ფეხი დაიდგას, თავაუღებლივ ოფლი ღვაროს, რათა პარტიის მიერ შემუშავებული მაღალი ნორმები არა მარტო შეასრულოს, არამედ მას გადააჭარბოს 5, 10 და 20 პროცენტით ამ გზით **„მიღებული ნორმები“** მან უნდა გააქარწყლოს და ამით დაამტკიცოს, რომ შესაძლებელია, **თუ კი ვინმე მართლა მოინდომებს, უფრო მეტის მიღწევა.** ერთი სიტყვით, შესაძლებელი ხდება უფრო მეტი ენერგიის გამოღება“ ისეც გამომშრალ და მშიერ მუშისაგან. ამ გზით ეცლება ყოველი საშუალება, დრო და ძალა საკუთარ კერაზე ზრუნვისა. ხოლო ოჯახის „რღვევაში“ დამსახურებით თითო-ოროლა „დეპუტატად“ და ორდენოსნად ხდება. აი, ამის მორიგი „პორტრეტები შრომის გმირისა“ ამშვენებენ 8 მარტის გამოცემებს: მაგალითად, აქ თქვენ ხვდებით ძალად მოღიმარს, გულზე ვარსკვლავით მოსილ ეთერ სოლომონიას: მას ქალთა მთელი გუნდი ახვევია და ყველა ესენი ყალბის ღიმილით ფარავენ ბრაზს და შურს, ოდეს ორდენოსან ეთერ სოლომონიას ახალ ტანსაცმელს ათვალიერებენ. მერე და რა ქნა, რა სამსახური გასწია ამ ქალმა, რომ მას ორდენი დაჰკიდეს და ახალი „კოსტუმიც“ უთავაზეს? ამის პასუხს აქვე „მხატვრულად“ გვაუწყებს კორესპონდენტი: თურმე „ამ მოწინავე ფეიქარმა გადიდებული ვალდებულება იკისრა და სასახელოდ შეასრულა“, ამით მან **„სანახევროდ შეამცირა ნორმით გათვალისწინებული დრო** და თუ მაქოს გაწყობისათვის ნორმით გათვალისწინებულია 15 წამი, ის ასწრებს 9 წამში; ამასთან 20 წამით შეამცირა ქსელში გაწყვეტილ ძაფის გადაბმისთვის განკუთვნილი დრო...“ ასევე „სანახევროდ შეამცირა მაქოს გამოცვლისათვის და გაწყვეტილი ძაფის წვერის მონახვისათვის დაწესებული დრო და ამით საქსოვი დაზგების წარმოება 10% გაზარდა“

გიკვირთ, როგორ ასწრებს ის ყველაფერს ასე ოსტატურად, რომ შეუფარხებლივ მუშაობენო, დასძენს კორესპონდენტი...

თქვენ კარგად დააკვირდით ამ ჯოჯოხეთურ, წუთებით და წამებით გამოთვლილ მუშაობის სისტემას, რომელმაც ქართველი ქალი მკვირცხლავ მბრუნავ მანქანად აქცია და 15, 9 და 20 წამებით განუკვეთა მთელი მისი სიცოცხლე. ამ „მექანიზაციით“ ქალი სწევს საერთო პროდუქციას და ამ ჯოჯოხეთურ „დოლში“, ან უკეთ, **„ულელში“ აბამს ყველა დანარჩენ მუშა ქალებს,** რომელთ საბჭოთა „მოლოხი“, ბრიგადირების მეშვეობით, ნორმებს უდიდებს და მოითხოვს, ეთერ სოლომონიას მიერ მიღწეული, მათთვისაც სავალდებულო შეიქმნეს, და თუ ვერა, მაშინ უბედურ მუშა ქალს გაუსწორდებიან, ვითარცა მავნებელს და საბოტაჟის მწარმოებელს. ამნაირად, თავის თავად აუტანელი და მძიმე ნორმა სოლომონიებს უფრო ჯოჯოხეთურად გაუდიდებიათ და ქალიც ამ ახალ ნორმებს იმდენად გამოუწურავს და გამოუფიტავს, რომ ოჯახში მისვლის და ცივი. ღარიბი ლუკმის მიღების შემდეგ, მას სწყურია მხოლოდ ერთად-ერთი: ძილი, ძილი და ისევ ძილი... ასე ყოველ დილით ისევ ბრუნავს და, მანქანად ქცეული ქალი, უსიტყვოდ მიჰყვება ამ დაძაბულ შრომას ახალ ნორმის შესასრულებლად, ვიდრე სულ არ წაიქცევა და არ დავარდება. თურმე ამ დროს „ეთერ სოლომონიას არ დაავიწყდება გასული წლის ნოემბერი. მოსკოვი, ყრილობათა სასახლე, კომუნისტური პარტიის პლენუმი...“ ის თურმე „ღირსეული წარმომადგენელია ქართველ მშრომელ ქალთა იმ სახელოვანი არმიისა, რომელსაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების კეთილშობილურ საქმეში“. (იხ. „სამშობლოს ხმა“, აპრილი, 1963 წ.) თქვენ აქ ნათლად ხედავთ თუ „სოლომონიების“ ეს დამსახურება რა მზაკვრულის ხერხით არის გამოყენებული და რატომ უხდიან საკავშირო (რუსეთის) კომ. პარტია და მისი მთავრობა საქართველოს კომ. პარტიას, მთავრობის წევრებს, კოლექტივებს და დამკვრელებს მადლობას **დაწესებული ნორმების გადაჭარბებით შესრულებისთვის.** ეთერ სოლომონიას მსგავსად სხვა ახალგაზრდა ქალებიც გაუტაცნია ამ „წარმატებას“ და მათი მრავალი პორტრეტებით დამშვენებულია საბჭოთა პრესა.

საბჭოთა კორესპონდენტების მიერ ქალთა ღვაწლის აღწერა მოკლებულია ყოველგვარ ნიჭს და ორიგინალობას, ისე როგორც ამ „შრომის გმირთა“ მთელი ყოფა... ყველა ესენი წყალის წვეთებივით ჰგვანან ერთი-მეორეს და ერთნაირად შეტრფიან „მშობლიურ ფაბრიკას“ და „მშობლიურ პარტიას“, ხოლო თავისი ნამდვილი მშობელი, ოჯახი და ქვეყანა მათთვის „შორეული“ ხდება. აი მაგ. მზია ყარაულაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 22 წლის ასულია და უკვე „გაბედნიერებული“, როგორც კორესოპნდენტი აგვიწერს, ის თელავიდან თბილისში „მშობლიურ პარტიის ყრილობაზე დასასწრებლად დელეგატათ ჩამოუყვანიათ. ეს „დეპუტატი“ თბილისში ამაყად შეაღებს სასახლის კარებს. კორესოპნდენტის სიტყვით „მზიას აქვს აქ ზოგი რამ სათქმელი „მშობლიურ ფაბრიკის შესახებ...“ რა სახის დამსახურებისათვის „აარჩევინა“ პარტიამ ფაბრიკის მუშებს 22 წლის გოგონა დეპუტატად? მისი ძირითადი პროფესია თურმე კვანძვაა, „მაგრამ შემთხვევით მხარშავს, ან ამომხვევს რომ რაიმე მოუვიდეს, მზიას დაზგასთან მუშაობა არ შეწყდება; თავის საქმესთან ერთად ის ხარშვასაც აუთავდება და ამოხვევასაც. ამიტომაც არის, რომ მზიას რგოლში ერთის წუთითაც კი არ გაცდება ხოლმე სამუშაო და **გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ“.** (იხ. “სალიტერატურო გაზეთი“, 31-1-1964 წ.) ლ. სულაბერიძის წერილი „ფეიქარ მზიას დეპუტატობაზე“) აქედან ერთხელ კიდევ აშკარად ვხედავთ, თუ რა დაუღალავ მანქანად გადაუქცევია ამ გოგონას არა მარტო თავის თავი, არამედ ყველა „მის რგოლში“ მომწყვდეული ქალები, რომელთაც თურმე ერთი წამითაც არ აცდენს და არ ასვენებს... სწორედ ამიტომაც მისცეს მას წარმატება და დეპუტატობა.

განა შეუძლიან იმპერიის უსულო მექანიზმის ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებს გაუძლოს ქართველმა ქალმა? სწორედ ამის გამო როგორც ვთქვით, დღითი-დღე ირღვევა უძველესი, მტკიცეთ შემონახული საძირკველი. თითქოს ზოგი კიდეც რწმუნდება, რომ ამ პირობებში ბრძოლასაც ყოველი აზრი ეკარგება, რადგან მისთვის ჩივილის უფლებაც წაურთმევიათ. სწორედ ამის გამო, ყველაფერზე გულ-

მოხელეთ და მკვლევართ, მუდამ აოცებდათ, რომ ქართულ ამბოხება-შეთქმულებებში და ბრძოლებში, ყველა წოდებები და წრეები ერთად გამოდიოდნენ და ეროვნულ დროშას გლეხი, მღვდელი, ბერი და თავადი ერთად უდგნენ და თავდადებით იცავდნენ. რასაკვირველია, წოდებრივი უთანხმოება ჩვენშიაც იყო, მაგრამ ეს ბრძოლა სულ სხვა ხაზით მიდიოდა და ოდეს სამშობლო გარეშე საფრთხის წინ იდგა, იქ კლასის და წოდების უთანხმოება მეორე რიგში დგებოდა და ერის ყოველი ნაწილი ხელი-ხელ ჩაკიდებული მტრის საწინააღმდეგოდ ირაზმებოდა. ამან გამოანაპირა ჩვენი ხალხი და მისი სახელოვანი მატიანე მრავალ საუკუნეების გასწვრივ ისტორიის აბობოქრებულ ტალღებიდან.

ამან დარაზმა ჩვენი ხალხი რუსეთის 1917 წ. რევოლუციის მიერ შობილ ანარქიის წინააღმდეგ. შინაგანმა სიმტკიცემ და ეროვნულმა დისციპლინამ გაიღვიძა ამ დიდი განსაცდელის დროს და ერმა მტკიცე ზღუდე შემოავლო თავის ოაზისს, შექმნა ორგანიზაცია და გამოსჭედა თავისუფლება.

ჩვენი ერის ეს გასაოცარი პოტენცია ისტორიულად შემონახული და მრავალ საუკუნით ნაანდერძევი დოვლათი იყო. რუსეთის მაშინდელ იმპერიის ტერიტორიაზე ბევრს როდი გააჩნდა ასეთი ისტორიული განძი, საუკუნეობით შემონახულ-დაცული ეროვნულ სახელმწიფოებრივი ენერგია, ტრადიცია, და „ფსიქოლოგიური“ ფენომენი.

ეს ქადილი არ გახლავთ: ჩვენი ერი უძველესი კულტურის და სახელმწიფოს ერი იყო, გამონაკლისი, ან ერთ-ერთი გამონაკლისთაგანი.

ამის ცოცხალი და მეტყველი დოკუმენტები მრავალია; დოკუმენტები ჩვენს სიმწიფეზე და სიფხიზლეზე რომ მეტყველობენ და რომელთაც ამ 46 წლის წინ წაქცეული საქართველო კვლავ ფეხზე დააყენეს.

იმ დროის მრავალ „დოკუმენტებიდან“ მე ვიღებ დღეს მხოლოდ ერთს, ან ორს, რომელიც ჩვენი ეროვნული „მოწიფულების“ ატესტატია.

მგონი, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ამგვარ „ატესტატით“ რუსეთის იმპერიის ერებიდან ბევრი არ გამოსულა თვითმყოფობის და განთავისუფლების გზაზე. იქნებ ჩვენ ერთადერთი ვიყავით... არც ეს არის უბრალო ქადილი. ეს არის საამაყო და მყარი სინამდვილე 26 მაისის საძირკვლისა. მე მოგახსენებთ ჩვენი პრივილეგიური კორპორაციის, თავად-აზნაურობის ნებაყოფლობით აქტზე, რაც მან ოქროს ასოებით ჩასწერა ჩვენი აღდგომის მატიანეში.

არა მგონია ამისი „რამოდენიმე პარალელი“ ვინმემ მოიძიოს... ეს აქტი უსწრებს ჩვენ „ეროვნულ ყრილობას“, რომელიც 19 ნოემბერს 1917 წ. გაიხსნა და რომელიც 26 მაისს ქართულ პარლამენტად იქცა და ერის სუვერენობის დოკუმენტი ქვეყანას ამცნო. აქ ერთი მეორედან გამოდის, პირველი მეორეს ქვაკუთხედია.

გადავშალოთ ეს პირველი „პარტია“.

მაშინდელ გამოცემაში, რომელიც შემთხვევით ხელთა მაქვს, ვკითხულობთ: „1917 წ. ოქტომბრის 29 დღესა, ქ. თბილისში...“ და ქვევით: „ქართველ თავად-აზნაურობას სრულიად შეგნებული აქვს ის დიადი საქმენი და მოწოდება, რომელნიც წინ უდევს **ქართველ ერს** და შეურყეველის რწმენით გამსჭვალულია, რომ მხოლოდ **ერის ყველა ელემენტების შეერთბას** და დემოკრატიულ ცენტრებთან შემოკრებას შეუძლიან დაამყაროს საქართველოში ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც შეესაბამება **მის ისტორიულ უფლებებს და უკვე მომწიფებულ რეალ ინტერესებს. ამ რწმენით აღ**ტაცებული თავად აზნაურობის კრება ადგენს:

1). ყველა უძრავ-მოძრავ ქონებას, რაც კი შეადგენს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კუთვნილებას, როგორც წოდებრივ ორგანიზაციისას, თავად-აზნაურობა აღიარებს მთელი ქართველი ერის ქონებად და გადასცემს საკუთრებად საქართველოს თვითმმართველობის საჯარო უფლების ორგანოს, როგორც კი იგი დამყარდება.

2). მანამდე კი, ვიდრე ეს საქართველოს თვითმმართველობის საჯარო უფლებრივი ორგანო დამყარდებოდეს, პირველ მუხლში აღნიშნული ქონების და უფლების მოსავლელად და გასაძღოლად უნდა დაარსდეს საბჭო და გამგეობა, რომელნიც თბილისში იმყოფებიან.

3). საბჭო შესდგება: ა) საქართველოს ყველა ქალაქების წარმომადგენლებისაგან, ბ). საქართველოს საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო საერობო კრებების წარმომადგენლებისაგან, გ). ყველა ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლებისაგან და დ). საქართველოში მომქმედი პოლიტიკური პარტიებისაგან.

4). ეთხოვოს საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს მოსაწვევ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელთა რიცხვის განსაზღვრა, მისი მოწვევის ვადის განსაზღვრა და შესაფერისი საამისო განკარგულებითი მოქმედება და საქმის გაძღოლა...“ და სხ. (იხ. „ალიონი“, №55, 1917წ „ქართველ თავად-აზნაურთა დეკლარაცია“)

ანალოგიური დადგენილება გამოიტანა (ასევე ერთხმად) ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ და ამრიგად მთელმა წარჩინებულმა წოდებამ მტკიცე საძირკველი ჩაუყარა იმ დემოკრატიულ წყობილებას, რომელიც მალე „საჯარო უფლებით“ ,ე. ი. სახელმწიფოებრივი ყველა ფუნქციებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი.

ეს ნაბიჯი მან გადადგა „აღტაცებულის რწმენით“, რომ მოხდებოდა ქართველი ერის „ყველა ელემენტების შეერთება“ და რომ ეს „შეერთება“ რუსეთის საერთო ანარქიის დროს სამშობლოს გადაარჩენდა და თან მის მიტაცებულ თავისუფლებას დააბრუნებდა, საქართველოს კვლავ სუვერენად აიყვანდა და ჩვენი „წარჩინებული წოდება“, ისე, როგორც, ასევე წარჩინებული ქართული სამღვდელოება, რომელმაც 1917 წ. სექტემბრის 17-ს, სიონის ტაძარში, „მიტაცებული ავტოკეფალია კვლავ აღადგინა“ და საქართველოს კათალიკოსად კირიონი აირჩია და არც შემცდარა.

გაერთიანებული ახალი საქართველო წელში გაიმართა და წოდების, სოციალური ფენების, პარტიების სხვაობის მიუხედავათ, ერთი, ორგანიული სხეულით აღიმართა და ერთი სული ჩაიდგა. ეს სული იყო: სამშობლოს დამოუკიდებელი, საქართველო სუვერენული, სახელმწიფო დემოკრატიული.

ამ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ სიმწიფის შესახებ მაშინდელი დოკუმენტი (მეორე) ასე მეტყველებს: „19 ნოემბერს 1917 წ. გაიხსნა ქართველთა ეროვნული კრება (ყრილობა), რომელსაც მეტად დიადი, სადღესასწაულო ხასიათი ჰქონდა. მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენელნი: „ქართველ ყველა პოლიტიკურ პარტიათა შერთებულ საბჭოსი“ (ე. ი. ინტერპარტიული კომიტეტი), განმანათლებელ-კულტურულ დაწესებულებების, ქართველ ჯარისკაცთა კავშირის, საქართველოს ქალაქების თვითმმართველობების, პროფესიონალური კავშირების, კოოპერატივების, ბანკების, საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსი, ჯარის-კაცთა მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებისა“ და სხ.

„ყრილობა გახსნა საქართველოს პოლიტიკურ პარტიების შეერთებულ საბჭოს თავმჯდომარე და ამიერ კავკასიის ახალ მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სულ მოკლე ხანში აუცილებლად მოწვეულ უნდა იქმნას საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრება“. (იხ. „უტრო როსიი“ 1917 წ. ნოემბრის 20. მოგვყავს „ქართული გაზეთი“დან 19 დეკ. 1917წ)

ამ ყრილობის საჩქარო მოწვევას ითხოვდა, როგორც ზევით ვნახეთ საქართველოს თავად აზნაურობის კრება ოქტომბრის 29-ს და ამ პირველ ეროვნულ საზეიმო კრებაზე დელეგატების წინ წარსდგა სახელოვანი წინამძღოლი წოდებისა კონსტანტინე აფხაზი და მის ისტორიულ დეკლარაციას ქართველი ხალხის გაერთიანების, მის ეროვნულ მეობად გარდაქმნის და მისთვის ქართველ თავად-აზნაურობის მთელი ქონების გადაცემის შესახებ, მთელი დარბაზი დაუსრულებელი ოვაციებით და „ვაშას“, და „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“ ძახილით შეხვდა.

დღესაც, ოდეს ამას ვიგონებთ, მაშინდელ აღფრთოვანების და სიხარულის ცრემლი ისევ აწვება თვალებს...

მაშინ, იმ საერთო აღრევისა და განუკითხაობის დროში, ოდეს საქართველო მოცული იყო ანარქიულ რუსის ჯარის-კაცთა ბრბოებით, რომლებიც საჭურველით ხელში თავს გვადგა, იმ დროის ამ ქართველთა გულში ჩამარხულის „განცხადება“ დიდი საქმე იყო. ხოლო უფრო დიდი გმირობა იყო მისი განხორციელება. ყველა ეს შეეძლო მხოლოდ მთლიან ერს, ორგანიულად შედუღებულ ახალ საქართველოს. ჩვენ ვნახეთ ეს შედუღებული, ერთეულად ჩამოსხმული საქართველო ყველა მისი წოდებით, კლასით, წრეებით და პარტიებით.

ამან წარმოშვა დიადი დღე 26 მაისისა თავისი ისტორიული „დამოუკიდებლობის“ აქტით.

ამ ძვირფასმა ქვებმა, რაც ჩვენი ერის თვითვულმა ფენამ მისი საძირკვლისათვის მიიტანა, შეამკო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. ეს „ძვირფასი და პატიოსანი ქვები“ აშუქებენ ჩვენს გზას ახალ აღდგომისაკენ და გვასწავლიან: რა შეუძლიან ერთობას და სამშობლოს სიყვარულის მაგიურ ძალას...

მისთვის აუღებელი ციხე არ არსებობს... ამ „აქტის“, ამ უკვდავების დოკუმენტის 46 წლის თავზე გავიხსენოთ მისი ყველა „ძვირფასი და პატიოსანი ქვები“ და მაშინ ჩემთან ერთად იტყვით: „მაშ, რად მოგიწყენია?!“

აკაკი პაპავა.

---

გატეხილი, 8 მარტის საზეიმო დღის გამო იტყვის: „მეშველს, არც მარტმა დამაყარა ხეირი და არც აპრილმა... აღარც კაცს ვახსოვარ და აღარც ღმერთსა; ვარ აგრე საცოდავათ ოთხკედელ შუა გამომწყვდეული, მარტოდ მარტო და ძაღლიც კი არა მყავს, რომ ჩემს ბარობაზე დაიყეფოს. იმასაც ხომ ერთი ადამიანის ოდენა ჭამა უნდა... ცოტაცა და თავზე ჩამომეშვება სახურავი...“ ასე მოსთქვამს გაუბედურებული დედა ქართული ოჯახისა, რომელსაც უსაზღვრო შრომის ჯილდოთ ქმარი მოუკლეს და შვილი გადაუსახლეს... (იხ. რომანი კოლექტივის ცხოვრებიდან, ლ. მრელაშვილისა „ყაბახი“, „მნათობი“ 1962 წ. გვ. 27.) აქვე უამრავი სურათებია მოცემული კოლექტივის თავმჯდომარის, ბრიგადირების, ბუღალტერების, მწონელის, შოფერის და ყოველი მოხელისა, (მილიციის ჩათვლით), მათი გარყვნილების, მექრთამეობის, მოტყუილების, ქურდობის, მრუშობის და ავაზაკობისა, რომლის ქსელში იხლართება და იხრჩობა ქართველი მშრომელი ქალი და კაცი, დიდი და პატარა... ჩვენ შეგვეძლო ნიჭიერ მწერალ მრელაშვილის მეტად ფართოდ გაშლილ რომანიდან „ყაბახი“, რომელიც აგე ო ორი წელია „მნათობში“ იბეჭდება, მრავალი ასეთი ადგილები მოგვეტანა ჩვენი სოფლის დღევანდელი ცხოვრების დასახასიათებლად, მაგრამ უადგილობა ამის ნებას არ გვაძლევს. ეს რომანი დიდის დაკვირვებით და სინამდვილით გადაგვიშლის კოლექტივიზაციით „განახლებულ“ ჩვენი სოფლის ტანჯვა-წამების სურათებს. აქ კარგად მოსჩანს მორალური და იდეური დაცემა კოლექტივების და მისი ხელმძღვანელი, პარტიული აპარატებისა. გვინდა უამრავთაგან ერთი ამონაწერი მაინც მოვიტანოთ, რომელიც ნათლად გვიჩვენებს დღევანდელ ქართულ ოჯახის დაშლის ნამდვილ მიზეზს. აქ ცხადათ ვხედავთ პარტიის და საბჭოს მოხელეთა როლს ჩვენი სოფლის ოჯახთა განადგურების საქმეში. ეს ადგილი ჩვენი სოფლის ქალის უმწეობას და დაცემას ნათელჰყოფს. აქ ვკითხულობთ ნამდვილ განაწამებ ქალის აღსარებას.

კოლექტივის თავმჯდომარის მიერ გაუპატიურებული, ყოველგვარ უფლება აყრილი, დამონებული ქალი, მართა ასე შესჩივის პარტიის ბობოლას, მის დამღუპველს „ნიკო ძიას“, რომელიც კოლექტივში თავმჯდომარეობით ისე განლაღებულა, რომ ყველაფერი დავიწყებია: სიტყვა, ნამუსი, პატიოსნება და ადამიანობა. მისგან მოტყუებული მართა ცხარე ცრემლებით შესჩივის ამ მძლეთა-მძლეს და გზა და გზა მთელ თავის წარსულსაც გვაუწყებს: „გახსოვს, ჩვენს სოფელში რომ მოხველი პირველად საბჭოს თავმჯდომარეთ? მოხვედი თუ არა, მაშინვე მე დამადგი თვალი. ეჰ, რა ვიყავ მაშინ! ოცდაერთი წლის გოგოს ხორცი მისკდებოდა ტანზე. ჰაი, როგორ შემომიჩნდი, წყეულო- გასაქანი არ მომეცი, მამა საშრომის დარაჯად დაანიშვნინე, ძმა ომში გაგზავნას გადამირჩინე, მე კი მეაბრეშუმეთა რგოლის ხელმძღვანელად წამომასკუპე... მაგითი მოიგე ჩემი გული; მაგითი მოიგე... მაგრამ იმ ერთ ღამეს, მე რომ იმ ოჯახში არ დავრჩენილიყავი, იმ ერთ ღამეს, მე რომ ღვინო არ დამელია, შენ ჩემთან მაინც ვერას გაიტანდი. მხოლოდ შარშან მითხრა ხიფეხაანთ დარიკომ, რომ ეს საქმე იმან მოაწყო შენის დიდი თხოვნით. მას შემდეგ შეგეჩვიე, ძალიან შეგეჩვიე...“ „ბოლოს იეჭვა მამაჩემმა. ერთხელ ზედ წამოგვაწყდა და მერე ერთი კვირა ცულით დამდევდა მოსაკლავად. შენ იქ აღარ დაგედგომებოდა და ჭალისპირში გადმოგიყვანეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეთ. მერე კვირაში ერთხელ ძლივს ახერხებდი ჩემს ნახვას, სანამ ამ ღვთის გლახის ბიჭს არ გადამკიდე ცოლად. როგორ მიყვარდი, როგორ მიყვარდი და შენ კი სხვას მიმეცი საჯიჯგნად. გული მერეოდა, არ შემეძლო იმასთან ერთად წოლა, მაგრამ მივეჩვიე, მერე მივეჩვიე... შემდეგ ეგეც შეგშურდა ჩემთვის. ჯერ იქვს თვესაც არ გაევლო, რომ ნასყიდას ჯარში აკვრევინებინე თავი და იმ ცოდვის შვილმა სადღაც პოლონეთში დალია სული. მე ისევ ეგრე დავრჩი ამ ყეყეჩი ბებრეკის ამარა. მხოლოდ კვირაში ორჯერ შემომივლიდი, მერე ერთზე დაიყვანე სტუმრობა და ეხლა მთლად დაივიწყე შენი მართა. განა არ შემეძლო გავთხოვილიყავი? განა არ შემეძლო შინ წავსულიყავ? მაგრამ მიყვარდი, ძალიან მიყვარდი და ეგ მაჩერებდა... მე ეხლაც მიკვირს, რით მომხიბლე? ჯერაც ვერ გამიგია, რით მომაჯადოვე? თითქმის მამად მერგებოდი და თანატოლივით შეგიყვარე. გახსოვს „ძია ნიკოს“ რომ გეძახდი? გახსოვს? „ძია ნიკო! ძია ნიკო!“ ამ მწარე სიტყვებიდან რამდენ უბედურებას ვხედავთ საცოდავ ქალის თავზე დატრიალებულს... და მერე ვისგან? მთელი ამ კოლექტივის ქსელიდან, რომელიც შემოახვია კომუნისტურმა სინამდვილემ ჩვენს სოფელს და ხალხს. ამ „კოლექტივების“ პარტიის თვალნი არიან ეს „თავმჯდომარეები, ბრიგადირები, კომკავშირელები და სხვა პარაზიტები და ჯაშუშები,“ „ძია ნიკოს“ ქურქებში გახვეული ავაზაკები. ამათ ამოაცალეს სული ოჯახს, კაცს და ქალს, გარყვნეს და გაამათხოვრეს სოფელი და სანაცვლოდ „კომბაინებით, ტრაქტორებით, პარტკლუბებით და რადიო პროპაგანდების ქსელებით“ აავსეს ის.

შეშინებული და წაქცეული, ნაგვემი და პატივაყრილი ქალი, მაინც ცდილა ოჯახის შექმნას და ახალ ცხოვრების დაწყებას, მაგრამ აქაც იგივე სისტემა, იგივე „თავმჯდომარე“ მაჯლაჯუნად აწევს და „პარტიის ძალით“ აღჭურვილი გასაქანს არ აძლევს. ტყვილა ევედრება ცხარე ცრემლებით ქალი და უმხელს, რომ უნდა გათხოვდეს და თან ნებას სთხოვს უგულო თავმჯდომარეს. დააკვირდით უმწეო ქალის ამ ვედრებას და მთელ ამ დიალოგიდან მის უდიდეს ტრაგედიას ამოიკითხავთ.

„ნიკო, გესმის? მინდა გავთხოვდე.

„ როგორ თუ უნდა გათხოვდე?

„აი, ეგრე: უნდა გავთხოვდე...

„რამ გადაგაწყვეტინა? უცხო, ჩავარდნილი ხმით იკითხა თავმჯდომარემ.

„სიმარტოვემა და **ცხოვრების უაზრობამ...**

„შენ მე ნუ გამამტყუნებ ნიკო, ნურც სიხარბეში ჩამომართმევ... მომბეზრდა ამდენი კვეკვე-მალულობა და მარტო გდება.. **მე ჩემი მინდა ეზო, სახლი, კარი და საკუთარი ქმარი... მე ოჯახი მინდა, საკუთარი ოჯახი და შვილიც...** არც ძალიან დიდი ხნისა ვარ, რომ იმედი გადავიწყვიტო...“

ამ განცხადებით შეშფოთებულმა, თავგასულმა თავმჯდომარემ უბედურ მსხვერპლს „გათახსირებული“ უწოდა და დაემუქრა: **„დედას გიტირებთ შენცა და იმასაცო“** (იხ. „მნათობი“ №7 გვ. 2-14 1964 წ.) განა ამ გულსაკლავ სურათს რაიმე განმარტება სჭირდება?

რასაკვირველია, მართას ზნეობრივი სახე, ჩვენი ქალისათვის ტიპიური არაა, თორემ მთელს ჩვენ მომავალზე ჯვარი უნდა დაგვესვა. ქართველი ქალი ჯერ ასე არ დაცემულა. იგი იბრძვის, იცავს თავს და ოჯახს. მაგრამ ასეთებიც ხომ გამოერივნენ, განა ეს სავალალო არ არის? ამ საშინელებას ხომ დღეის სოფლის კოლექტივების ატმოსფერო ქმნის. რა თქმა უნდა ყველა ვეღარ გაუძლებს ამ ტალღას და ლონემიხდილი მის მორევს მჰყვება. ამის მძიმე სურათებს ხვდებით დღევანდელ ქართულ პრესაში და ლიტერატურაში, მაგრამ ამასთან ერთად, იქვე გამოანათებს სახეები, რომელნიც ამ უიმედობის გზას არ მიჰყვებიან... ამ ქარიშხალში განუხრელად დგანან ქართველი დედები და „კბილითა და ფრჩხილებით“ იბრძვიან ქართული ოჯახის გადასარჩენად... და ასე ჯერ კიდევ ინახავენ ქართველ დედების ტრადიციებს. დღევანდელ „კოლმეურნეობისათვის“ ესენი „მავნებლები“ არიან, მაგრამ ხვალინდელ აღდგომის იმედს მხოლოდ ეს „რეაქცია“, თავდაცვის უნარი და გამძლეობა ინახავს და ზრდის. ამის მაგალითებითაც მდიდარია ჩვენი სადღეისო ლიტერატურა. საკმარისია ნიჭიერ მწერლის ,ოტია იოსელიანის შესანიშნავი რომანი ვარსკვლავთ ცვენა“ გულდასმით გადიკითხოთ, რომ იქ უხვად ამოკრიფოთ ქართველ დედების და ბებიების, რომელთაც ომის საშინელ წლებში დააწვათ მთელი სიმძიმე ოჯახის დაცვა-გაძღოლისა. სამაგალითო გარჯა და მხნეობა, მათი „ვაჟკაცური“, გაუტეხელი ბუნება და ჭირთა შინა გამაგრების უნარი; უცნაურად იათკეცებენ ენერგიას ეს მარტოდ დარჩენილი ქალები, რათა ყველა ვალდებულებანი „კოლექტივისა“ შეასრულონ და შემდეგ თავის კერას და შვილებს მიაშურონ. ასევე გაუტეხელ უნარიანობას იჩენენ ქალები ლ. დუმბაძის რომანში: „მე ვხედავ მზეს“. ყველა ეს ქალები

## ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის, დრ. ო. ზალდასტანიშვილის სიტყვა.

(წარმოთქმული 26 მაისის საზეიმო კრებაზე)

**ქალბატონებო და ბატონებო:**

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 46 წლისთავს. ამ შემთხვევის გამო, საჭიროა გადავხედოთ იმ მოვლენებს, რომლებმაც წარმოშვეს საქართველოს თავისუფალი-დემოკრატიული მთავრობა. საჭირო და აუცილებელია 46 წლის წინა დროინდელი ფაქტები აღვადგინოთ, რათა ქვეყნიერებას გავახსენოთ ქართველი ერის უფლებები, რომელიც ასე ულმობელად გადათელა საბჭოთა რუსეთმა. მაგრამ, ჩემის რწმენით. ასევე აუცილებელია დამოუკიდებლობის დღის ნამდვილი მნიშვნელობის გაგება და აღიარება იმ მთავარი პოზიციის, რომელიც ჩვენ ყველას გვაერთიანებს, ვინც კი ვაცხადებთ, რომ ქართველები ვართ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიქნებით ამაღლებული პასუხისმგებლობის იმ შეგნებამდე, რომელსაც ქართული წარმოშობის ამერიკული მოქალაქეობა გვაკისრებს. ამ საკითხის ნათელყოფა გაამაგრებს ჩვენს პოზიციებს, გააძლიერებს ჩვენი მოთხოვნილებების დაცვის შესაძლებლობას; უფრო ადვილათ მისახვედრ და მისაღებად გახდის ჩვენი მეგობრებისათვის და უფრო ნაყოფიერი გახდება ჩვენი საქმიანობა.

საქართველოს დამოუკიდებლობა არ დაწყებულა 1918 წ. 26 მაისით. მას უფრო გრძელი ისტორია აქვს· ვიდრე სხვა მრავალ ქვეყანას: სავსე საოცარი სოციალური, კულტურული და ლიბერალური მიღწევებით. 2000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მან გამოამჟღავნა თავისი გარდაწყვეტილება, რომ იყოს თავისუფალი ერი, თავისუფლად არჩეული მთავრობით.

26 მაისი ქართველების მთლიანობის, მისი განპიროვნების სიმბოლოა.

ძალიან შორს მიდიან ფაქტები, რომლებიც ჩვენს დამოუკიდებლობას საფუძვლად დაედო. 26 მაისი სიმბოლიური გამოსახულებაა იმ უფლების, რომელიც ქართველმა ხალხმა განსაკუთრებული შრომის, ბრძოლის და მიძღვნილობის შედეგად მიიღო. ეს არის უფლება თავისუფალი შეკრების, უფლება, რათა თვითონ აირჩიოს მმართველობის ფორმა და პიროვნული თავისუფლების უფლება. ქართველ ხალხს ეს მთავარი უფლებები წაართვა საბჭოთა რუსეთმა და ის მოკლებულია მას 1921 წლიდან.

ჩვენი დამოუკიდებლობის წლისთავის აღნიშვნით, ჩვენ ვაგონებთ მსოფლიოს საბჭოთა კავშირის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და ამავე დროს ეს არის სამართლიანობის მოთხოვნა.

იმის მხედველობაში მიღებაც არის აუცილებელი, რომ მხოლოდ ჩვენ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, შეგვიძლიან თავისუფლად ლაპარაკი. საქართველოში მცხოვრებნი კი ისე არიან შებოჭვილნი, რომ მათ არ შეუძლიანთ თავისუფლად გამოსთქვან თავიანთი რწმენა.

მაგრამ, საკითხავია, თავისუფალი სამყარო გვისმენს ჩვენ? იმას არ მოსწყინდა ჩვენგან ერთი და იგივე ამბავის მუდმივ განმეორება და არ დაეჭვებულა ჩვენს პრობლემაში? როგორ უნდა ავხსნათ, რომ ჩვენი საკუთარი მეგობრებიც კი, რომლებმაც ასე თავაზიანად მიგვიღეს თავის ქვეყანაში და რომლებთანაც ჩვენ ვინაწილებთ მრავალ პრინციპებს და რწმენის ძირითად საფუძვლებს, ისენი, ვინც მხარს უჭერდნენ ჩვენს მთავარ მოთხოვნილებებს ეხლა, ხანდისხან, მთლიანად გვეწინააღმდეგებიან?

რაც მე მსურს დღეს თქვენთან ეროად გავარკვიო, სწორედ ამ გაუგებრობის წარმომშობი მიზეზებია.

ჩემის რწმენით ეს იქიდან წარმომდინარეობს, რომ ჩვენ თვითონ ნათლად არა გვაქვს წარმოდგენილი მდგომარეობა; არა გვაქვს შეგნებული გარემოცვა და არეული ვართ მასში· ეს არევა. დროთა მსვლელობაში, შეიძლება ისეგა იზარდოს, რომ მთელი ჩვენი პოზიციები სრულიად ჩაიშალოს, ვიდრე მივხვდებით, რომ ქვეყნიერება იცვლება და საჭიროა ამ ცვლილებებთან შეთანხმება და შეხამება.

46 წელიწადი გრძელი დროა და საჭიროა ჩვენი პოზიციები დრო და დრო გადავსინჯოთ და გარემოების და მიხედვით ცვლილებები შევიტანოთ. შედარებით ადვილია გაუძლო მტრის დაწოლას, მაგრამ ბევრად ძნელია მიიღო პატივისცემა, დახმარება და მხარისდაჭერა მეგობრებისგან, რომლებიც სხვა და სხვა მიმართულებით ყოველდღიურად წინ მიდიან და რომლებიც ხედავენ, რომ ჩვენ ისევ ძველ ადგილზე ვდგევართ. ასეთ შემთხვევაში, ძალიან მალე, ჩვენ შეიძლება მისგან მოველოდდეთ სიმპატიას და საბოლოოდ კი მხოლოდ შებრალებას.

ჩვენი მოვალეობაა აქამდე არ მივიყვანოთ და სწორედ ეს არ დაუშვათ. ამ ხნის განმავლობაში რამდენი შემთხვევა გვქონია უიმედობის და გულგატეხილობის?

პირადათ მე, 26 მაისის მოახლოების რამოდენიმე კვირით ადრე უფრო დაუფრო მეტად ვიყავი შეცული იმ ფიქრით, რომ ეს დემონსტრაცია უშედეგო იყო. მომბეზრდა მრავალჯერ თქმულის კვლავ განმეორება. 43 წლის განმავლობაში მარცხების შემდეგ, ბრძოლის ხალისი ეკარგება ადამიანს. მაშინ დგება დრო, როცა დამარცხებული უნდა გაჩუმდეს.

გადავხედოთ მომხდარ ცვლილებებს, რომლებიც ამ ხანში განვიცადეთ: დავკარგეთ ჩვენი წარმომადგენლობა ყველა მთავრობებთან; დავკარგეთ უმრავლესობა ჩვენი ლიდერების. უცხოეთში უკვე გაიზარდა ახალი თაობა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი უფრო გაძლიერდა· ჩვენთვის კი, შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველებისთვის, ისმება საკითხი: შეგვიძლიან კვლავ ვთქვათ, რომ საქართველოს სახელით ვლაპარაკობთ? მართლა ვიცნობთ საქართველოში არსებულ პრობლემებს? ტურისტი, რომელიც რამოდენიმე კვირითმოგზაურობს საბჭოთა კავშირში და ერთ შაბათ-კვირას თბილისშიც გაატარებს, ჩვენზე მეტ ცოდნას აჩენს და ერთი შეხედვით, შეიძლება, ასეც არის. მე ორი წლის ვიყავი, როცა საქართველო დავტოვე· მოგზაურს შეუძლიან უფრო სწორედ ილაპარაკოს იმ ქვეყანაზე, ვიდრე მე· ყოველშემთხვევაში როგორ შემიძლიან ვეკამათო მას? ასევე სადაოა დღეს ჩვენი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა. მე არ შემიძლიან ამ დარგის ექსპერტობა მოვითხოვო. იქ არის საუკეთესო წიგნები გამოცემული, ექსპერტები იქ არიან. რატომ უნდა გვეთათბიროს ჩვენ ვინმე? ჩვენს მიღწევებში და ჩვენს როლში რომ ვიყოთ დარწმუნებული საჭიროა გავზადროთ კაცობრიობის ინტერესი, მაგრამ ამ მხრივაც, ჩვენი შესაძლებლობა მეტად განსაზღვრულად გამოიყურება; მაშინ, როდესაც 1921 წ. მხოლოდ ჩვენ ვითვლებოდით ქართული საკითხის ექსპერტებათ. დღეს ჩვენი პოზიცია შეიცვალა და დიდ ხანს აღარ შეგვიძლიან ვისარგებლოთ ამ როლით. ჩვენ ვგრძნობთ დასუსტებას და თანდათანობით განადგურებას.

ეს არის ის მცდარი ადგილები, რომლებიც ქმნიან გულისგამტეხ განწყობილებას და სწორედ ამაშია ჩვენი დიდი შეცდომა. უმთავრესი გაუგებრობა შეიძლება წარმოიშვას იმიტომ, რომ ჩვენ ვფიქრობთ, ვმოქმედობთ და ვასამართლებთ ჩვენს თავს ისე, თითქოს, ჩვენ ვიყოთ ისევ 1921 წ· ჩვენ არ დავმარცხდით იმიტომ, რომ ჩვენ წარმატება არა გვქონდა საქართველოს განთავისუფლების საქმეში განვლილი 43 წლის გასწვრივ. ჩვენი პოზიციები სრულებითაც არ შესუსტებულა იმით, რომ ჩვენ აღარ წარმოვადგენთ თანამედროვე საქართველოს მთლიან საქმიანობას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ემიგრაცია არის **ეროვნული და პოლიტიკური და მე ვამტკიცებ, რომ, პირიქით, ჩვენ უფრო ვმაგრდებით ყოველწლიურად იქამდე, ვიდრე ჩვენ ვაწყობთ დღევანდელის მსგავს ყრილობებს. „როდესაც დრო დადგება ყოველ არმიაზე ვფრო ძლიერი იდეაა“**. მთავარია გვქონდეს გარკვეული იდეა და ის ცოცხლად ვატაროთ, ვიდრე დრო დადგება. ჩვენ უნდა გამოვამჟღავნოთ მტკიცე გარდაწყვეტილება, იმ საკითხების მიმართ, რომლების დაცვაც შეგვიძლიან და საჭიროთ მიგვაჩნია და მის დასაცავად ვიყოთ მზად მტრის და მოყვრის წინაშე.

დღეს საერთაშორისო მდგომარეობა არის საერთოდ არეული. მრავალი ერის პოლიტიკა, თითქმის, სრულიად გამოუცნობია; აშკარად ვხედავთ პოზიციების შებრუნებას და აბრუნდს, მაგრამ ამ არეულობაშიც უცვლელი დარჩა მთავარი შემეცნება.

სულ ახლო წარსულში სენატორ ფულბრაიტმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ამერიკული პოლიტიკის სრული გადახალისებაა საჭიროა. ვიფიქროთ უფიქრალი: მისი სიტყვით ეს არის რეალური. შევხედოთ ქვეყნიერებას ისე, როგორც ის არის და შევახამოთ ჩვენი პოლიტიკა მას. თუ სენატორს კარგად გავუგე ის ამზადებს ამ ქვეყნის პოლიტიკური კურსის გამოცვლას და ცივი ომის დამთავრებას· ამერიკის კვლევის ინსტიტუტმა 1964 წ. აპრილის 24-ს გამოაქვეყნა, რომ შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტა კომუნიზმის უკან მიყოლვის ფიქრი. ეს ფაქტი ეხება გაწყვილებულ მაბეზარ ძალას, (საბჭოთა კავშირს და წითელ ჩინეთს) რომ შეერთებული შტატები პატივს სცემენ მათ კანონიერ ეროვნულ ინტერესებს. თუ ამას მიუმატებთ საგარეო საქმეთა მინისტრის დინ რასკის ცნობილ წერილს, კონგრესის კომისიის ადმი მიმართულს, როცა მან საქართველო ჩათვალა საბჭოთა კავშირის ტრადიციულ მიწაწყლად, მაშინ ნათელი იქნება, თუ რამდენათ არ ვეთანხმებით იმ პოზიციას, რომელიც შე-

---

კლდესავით დგანან და ამ კლდეს ასკდება დიდი ტალღები რუსულ, ველურ კომუნიზმისა, რომელიცთანდათან ძირს ურღვევს ამ კლდეს. აი, ერთი ასეთი სურათიც მოთხრობიდან „აბზიანიძის ოჯახი“. ესაა ოდესღაც მტკიცე და მყარი ქართული, საშუალო წრის ოჯახი თავის ოთხი შვილით და სიძით.ი აქ ვხედავთ, როგორ ნელ-ნელა, მაგრამ გარდაუვალად იშლება და ინგრევა ის. მამა თუმცა ადრე კვდება, მაგრამ მისი დიდი სურათი ჯერ სიმბოლიურად კიდევ ფლობს ოჯახურ ატმოსფეროს. ჯარასავით ტრიალებს და იღვწვის აქ დედა, ზრდის შვილებს და ინახავს ტრადიციულ ოჯახს. მაგრამ მალე სათითაოდ ეცლებიან ბოძები ამ ოჯახს. ჯერ ერთი შვილი, შემდეგ მეორე და მესამე გადიკარგებიან სადღაც, შორეულ ქვეყნებში, სადაც მათ ეწევა დიდი ძალა დღეის მზ აკვრულ სისტემისა, ქართველს თავის მიწაზე შრომის უფლებასაც რომ არ აძლევს. ესეც არა კმარა. დედისათვის ყველაზე სავალალო ის გამხდარა, რომ მისი შვილები უცხო ეროვნების ქალებს ირთავენ და ამგვარად აბზიანიძის ოჯახს რღვევასთან გადაგვარებაც ხვდა წილად· ასე გვაუწყებს ავტორი, რომ „უფროსმა ვაჟმა ნიკომ, როგორც კი აგრონომიული დაამთავრა, დაკრა ფეხი და სოხუმში გადაიკარგა, რათა იქ ერთ რუსის გოგოსთან ერთად, რომელიც სამიოდე დღის წინ გაიცნო, ცალკე შეექმნა „აბზიანიძეების ოჯახის ცნება, ასე ვთქვათ „ფილიალი გაეხსნა„. მეორე ძმაც სულ შორს გადაიკარგა და ,უნდა ვიფიქროთ ისიც ასეთ გადაგვარებულ ფილიალს გახსნიდა... დედას მალე უფრო მწარე მარტოობა მოელის: თხოვდება მისი ასულიც. ისიც ქმარს უცხო ადგილს (მისი სამუშაო წერტთან) მიჰყავს და ასე რჩება ოჯახში მხოლოდ აბზიანიძის ქვრივი და მისი ქმრის დიდი პორტრეტი, ერთი უმცროსი ვაჟის, გიგას ამარა... მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისიც სწავლას ამთავრებს და ერთ მშვენიერ დღეს დედას დამოუცხადებს:

—იცი შენ დედა მოსკოვი რაა?

—მოსკოვი რა არის, როგორ არ ვიცი ბიჭო? ამის შემდეგ შვილმა ხელების ფშვნეტა და სირბილი განაახლა. დუმილი დედამ დაარღვია:

—კი, მაგრამ რაში გაგახსენდა მოსკოვი?

—მოსკოვი, მოსკოვი.·. შენ არ იცი დედა ჩემო, რა არის მოსკოვი. მოსკოვი ჩვენი გადაყრუებული ქალაქი კი ნუ გგონია: მოსკოვში დუღს ცხოვრება.

—ცხოვრებას, ბიჭო თუ აადუღებ, ყველგან ადუღდება, რათ უნდა მაგას მოსკოვი და პარიზი?...“ მაგრამ ამ ქარაგმით დედამ საქმეს ვერ უშველა. მოსკოვი უკვე ბრძანებლობდა აბზიანიძის შორეულ ოჯახშიც და ქვრივ ელენეს უკანასკნელი ვაჟისათვისაც ყველა სხვა გზები მოჭრილი იყო. გიგაც სასწრაფოდ უნდა გაშორებოდა დედას და ოჯახს და ამ „ადუღებულ მოსკოვის ცხოვრებაში შეერგო თავი“. გამგზავრების წინ იმ ორიოდე კვირამაც ისე ჩქარა გაირბინა, ვით ერთმა წამმა და იმ დღეებში შვილს არც დედისათვის ეცალა და არც ოჯახისათვის. ცრემლებით და ვაებით უმზადებს და ულაგებს საბრალო ელენე საგზაოდ, რაც შვილს უყვარს· ბევრი რამ აქვს შვილთან სათქმელი, მოსალაპარაკებელი ოჯახზე, მოხუცებულობაზე, მომავალზე.. .მაგამ შვილმა რომ მისთვის ეხლაც ველარ მოიცალა? დარბის და დაძრწის დაწესებულებებში, ამხანაგებში ეს ყმაწვილი და ბოლოს ხეირიანად ვერც კი გამოეთხოვა დედას, ისე გასწია მოსკოვისაკენ. ის გააცილეს მისმა მეგობრებმა და დედა ისევ მარტო დარჩა მისი ქმრის დიდ სურათთან და ცრემლებით ამცნო მას, რომ ყველაფერი აიტანა და სცადა, მაგრამ „აბზიანიძის ოჯახი“, რალაც განგებით, მაინც დაიცალა და უკვე ირღვევა; მოსკოვიდან მოვარდნილმა დიდმა ქარიშხალმა ის გაანიავა და მას მხოლოდ კედლები შერჩა.

აი, კიდევ მეორე პატარა, მაგრამ გულსაკლავი სურათი დღეის ქართველი დედის ყოფისა. ეს ქალი ქართულ ინტელიგენტურ ოჯახის დედაა. ცხოვრობს ქალაქში. მასწავლებელია და მისი ქმარიც სამსახურშია და ასე მთელი დღე შრომაში არიან. დედას თავისი ერთად-ერთი ვაჟი გაგიჟებით უყვარს და ელის, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ ოჯახს მოეკიდება. მოიყვანს მშვენიერ, გამრჯე და პატიოსან ცოლს მის ოჯახში და ცხოვრება ლაღად გაიშლება.·. ასე ფიქრობს დედა, ქეთო... მის ვაჟს და ციალას მართლაც გატაცებით უყვართ ერთმანეთი და ოჯახის შესანახავადაც ეს იყო ერთად-ერთი ნუგეში. მაგრამ დედა ქეთო შემთხვევით შეიტყობს, რომ მის ვაჟს ციალაზე გული აუცრუვდა და მან მიცემული სიტყვა უბრალოდ დაივიწყა. ეხლა მის გზაზე ლილი გამოჩნდა და ვაჟიც მისი ტრფიალით თვრება... ხვალ კიდევ ვინ იცის, ვინ და სად შეხვდება და გადაეკიდება... განა ასეთი შვილი მყარ ოჯახს შექმნის? და როდესაც საყვარელ შვილს სადილს გაუმზადებს და სუფრაზე მიიწვევს, ის უპასუხებს, რომ ლილიმ ტელეფონით დაურეკა და საჩქაროდ მასთან უნდა წავიდეს

—„როგორ“? ეკითხება დედა, „ციალა რომ გიყვარდა? სიტყვა რომ მიეც და უნდა შეგერთო?“

—ეხლა აღარ მიყვარს და გთხოვ დედა, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

—მერე შენ გწამს, რომ ეს შენი ახალი „სიყვარული“ დიდ ხანს გაგყვება? ეკითხება აღელვებული დედა.

—ამაზე ჯერ არ დავფიქრებულვარ·.. გამომწვევად უპასუხა შვილმა.

—აბა, ერთი მომიახლოვდი, მიმართა დედამ და ვაჟი გაოცებით შემოტრიალდა... დედას მიუახლოვდა ,შეჩერდა; ქალი წამოდგა, მთელი სხეულით თრთოდა... მისჩერებოდა საკუთარ შვილს ისე, როგორც მოქანდაკე თავის ნახელავს, რომელმაც შენიშნა, რომ იგი იმგვარი არ გამოდის, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა... და ქალმა აღმართა ხელი და საყვარელ შვილს სილა გააწნა.

—„დედა!“ შესჩივლა შეურაცყოფილმა შვილმა.

დედამ ხელს მიმართულება შეუცვალა და ეხლა მეორე ლოყაში გააწნა სილა.

—„დედა!“ შესძახა კვლავ ვაჟმა. ქალმა ზურგი შეაქცია და მუხლმოკვეთილმა ძლივს კარს მიაღწია, გამოაღო და უკვე კარის უკნიდან დინჯად მიუგო:

„ჰო, შვილო, **მე დედა ვარ შენი!**“ (იხ. კ. ტაბატაძის მოთხრობა „დედა ვარ შენი“)

ასე ქართველმა დედამ ერთად-ერთ საყვარელ შვილზე ხელი აიღო და მის სიცოცხლეში პირველად უმძიმესი შეურაცყოფა მიაყენა, ოდეს შეამჩნია, რომ შვილი მის „ჩანაფიქრს“ აღარ ემსგავსებოდა და ოჯახის გამგრძელებლად ველარ გამოდგებოდა. მან ამჯობინა განშორება ასე აცდენილ შვილისა.

ასეთია ძალა ქართული ოჯახის და მისი საძირკველის—დედის: რა წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის და სადაც არ უნდა იყოს: სოფლად კოლექტივში, თუ ქალაქად მასწავლებლად თავის წარსულს და ადათს ის ვერ უღალატებს. წინაპართ გზას ადვილად ვერ განუდგება.

ასეთია მისი ატავისტური ბუნება და ის ჯერ კიდევ უძლებს გრძელ და მძიმე დაწოლას. მასში ჯერ შემონახულია ძველი თილისმა. ამის მაგალითები, ვიმეორებთ, ბევრია დღეის ქართულ მწერლობაში, რომელიც ყოველგვარ დირექტივების და რეპრესიის გარეშე, მაინც ახერხებს „სინამდვილე“ ისე ასახოს, როგორც ის მას ხედავს.·. მაგრამ, სამწუხაროდ, ეხლა სხვა მაგალითებზე ველარ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას... ნათქვამიც საკმაო მასალას იძლევა იმისას, რომ ჩვენ სასოწარკვეთილებას არ მივეცეთ, კარგად ჩაუკვირდეთ „ნიღაბის ქვეშ“ ქართველ დედის ჭეშმარიტ ზრახვებს და ამასთან წუთითაც არ დავივიწყოთ ,რომ ის იმ იმედით სუნთქავს და ცოცხლობს, რომ ბოლო მოეღება ამ „ქარიშხალს“, დიდ წარღვნას და ქართველი დედის უმაგალითო შრომა და მოთმენა უბრალოდ არ ჩაივლის საქართველოს მზე კვლავ ამოვა.

აი, ამ ბნელეთით მოცულ სიშორიდან ის ხანდისხან მაინც გამოიხედავს ჩვენსკენ და გულში თავისთვის იტყვის: თქვენ, შორს გადახვეწილო შვილებო, თქვენ მაინც ნახეთ ჩემი ოფლი და ცრემლები და ჩვენი დიდი ტკივილები ქვეყანას ამცნეთ.

მოდით, ეს იმედი მაინც გაუმართლოთ მას, ჩვენს საყვარელ უძლეველ დარაჯს ქართულ ოჯახისას და ეს ჩვენი იმედი მოხვდეს მის გულს მისი წამების სიმბოლიურ დღეს—8 მარტს.

**სოფიო ლეონიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დრ. ო. ზალდასტანიშვილის სიტყვა.

(დასაწყისი იხ. 4-ხე გვ.)

ერთებული შტატების ზოგ მოხელეებმა აიღეს. მეორე მხრივ, ორი კვირის წინ „სანდეი ტაიმსმა“ თავის მეთაურში შემდეგი გამოაქვეყნა: „მოსკოვის კოლონიალური იმპერია უდიდესია დარჩენილთა შორის, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნიერებას ანტი იმპერიალისტურმა ციკლონმა ჩაუქროლა. მოსკოვის ხანგრძლივ ბატონობით ბოლო ელება უზბეკების, ყირგიზების და საბჭოთა კავშირის სხვა არა რუს უმცირესობათა ნაციონალიზმსო“

ამგვარად, ჩვენ მრავალი ერთი-მეორის საწინაალმდეგო განცხადებები გვაქვს. ეს არის მსოფლიოში ყველაზე დიდი აღრევა. ფაქტია დიდი ერების დამბლადაცემულობაც. ისინი კარგავენ მეთაურის როლს. საბჭოთა კავშირი დიდ ხანს ვეღარ შესძლებს მიიღოს ხალხის მხარის დაჭერა ცარიელი იდეოლოგიური წინადადებებით და მას ამ ხალხის მხარის დაჭერის ყიდვა უხდება. შეხედეთ ეგვიპტეს და ასვას. ამისთანა რამ უწინ არასოდეს მომხდარა.

ეს მაინც არა ნიშნავს, რომ მდგომარეობა საფუძვლიანად არის გამოცვლილი. ჩვენ ვცხოვრობთ პარადოქსულ სამყაროში და ამ შემთხვევაში გამოცვლილია მოქმედების და გამოთქმების ფორმა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვა და სხვა გვარი იქნება უკეთესი შედეგების მისაღწევად გზა და საშუალება. პრინციპები კი უცვლელნი დარჩნენ, რომლებიც ერების საფუძველს შეიცავენ.

სენატორი ფულბრაიტი ფიქრობს უფიქრებელს, მაგრამ ის კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს არავითარ განცხადებას, რომელიც ამერიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ეხება.

საბჭოელებმა ეგვიპტეში მწყალობელის პოზა დაიჭირეს, მაგრამ შეუდრეკლად ეძებენ რუსულ იმპერიას მოუპოვონ დიდი დაპყრობები აზიაში, რომელსაც დღეს ჩინეთი ეჯიბრება. ხრუშჩოვი მოჩვენებით ღებულობს ნასერის ეიზანს, რათა მან შექმნას დიდი და ძლიერი ერი, მაგრამ ამავე დროს, მხოლოდ რამოდენიმე დღის წინ, მან სთქვა, რომ როგორც მან გაიგო არაბული გაერთიანება, ფართო გაგებით, არ არის ნაციონალიზმის ბაზაზე დაშენებული, არამედ მუშათა ძალაზეო. ეს უკვე რეზერვია „მწყალობელის“ პოზიდან ნამდვილ როლში გადასასვლელად.

ჩვენ უნდა შეურიგდეთ იმ ფაქტს, რომ ამ არეულ მსოფლიოში არ შეიძლება ვიყოთ ყოველთვის მხარდაჭერილი, როგორც ეს ჩვენთვის სასურველია. ჩვენ მრავალმხრივ ვიქნებით გამოწვეული და თუ გავჯიუტდით უეჭველად წავაგებთ, მაგრამ თუ ჩვენ განვასხვავებთ აუცილებელ, სასიცოცხლო ინტერესების საკითხებს მეორე ხარისხოვანთაგან, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან ავიცდინოთ ოპოზიცია და კიდეც მოვიგებთ.

რამოდენიმე კვირის წინ ჩემ ძმის შვილს, რომელიც მხოლოდ შვიდი წლისაა, ვაჩვენებდი საბჭოთა კავშირის თანამედროვე რუკას. მას უჭირავს უზარმაზარი ტერიტორია: რასაკვირველია, ის შეიცავს რუსეთის ციმბირს და საბჭოთა კავშირის მიერ დაკავებულ ქვეყნებს. ჩემ ძმის შვილს მოუნდა ენახა, თუ სად იყო საქართველო და მე მას ვაჩვენე ერთი პატარა ადგილი, რომლის საზღვრები ძლივს იტევს საკმარისად დიდი ასოებით დაწერილ სახელწოდებას. რამოდენიმე წუთი ის ჩუმათ იყო მიშტერებული საბჭოთა კავშირის დიდ, უსაზღვრო სივრცეს; შემდეგ რუკაზე რუსეთს ხელი მოუსვა და მითხრა: „შეხედე ბიძია ოთარ, შეხედე ამოდენა ტერიტორიას, რომელიც რუსეთს წაუღია ჩვენგანო“

თუ მინისტრ რასკს შეუძლიან სთქვას: საქართველო რუსეთის პროვინციააო, რა გასაკვირია ჩემ ძმის შვილს სჯეროდეს, რომ რუსეთი ძველი და ძლიერი ქართული სამეფოს ნაწილი იყო! რასაკვირველია, ჩვენ უფრო სინამდვილეში ვართ, მაგრამ არ უნდა გავებათ მახეში, რომელსაც შეუძლიან ჩვენი პოზიციების შესუსტება. ჩემი წინადადება ის კი არ არის, რომ უგულვებელ ვყოთ პრობლემები, როგორიც არის მაგ., საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა, ჩემი წინადადება არც ის არის, რომ უარვყოთ აღტაცება, რომელიც ჩვენ ასე სამართლიანად გვაქვს საქართველოს წარსულის მიმართ, ან მივიღოთ მტკიცება, თითქოს, ჩვენ საქართველოს სინამდვილეს მოწყვეტილი ვართ; პირიქიდ, მე დარწმუნებული ვარ კვლავ ჩვენა ვართ ერთად-ერთი, ვისაც საბჭოთა კავშირის განზრახვების და მოქმედების სწორი გაგება აქვს. რასაც მე ვიცავ მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ უფრო მეტად რეალური და ელასტიური ვიყოთ განსაზღვრულ საკითხებში. ჩვენ უნდა შეგვეძლოს წინაზრახვის გარეშე მსჯელობა ისე, რომ მთელი ჩვენი მთავარი ძალის კონცენტრაცია მოვახდინოთ იმ გარდაუვალ საკითხზე, რომელიც არის საბჭოთა რუსეთის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება საქართველოს მიმართ. ჩვენ ვართ მოწმეები, რომლებსაც შეუძლიანთ ეს ბოროტმოქმედება და ძალმომრეობა ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაამოწმონ მთელი ქვეყნის წინაშე. ამიტომ თვით ჩვენი არსებობაც მუდმივი პროტესტია. ეს არის ჩვენი ნამდვილი ძალა და ამიტომ არის, რომ საბჭოები ყოვლგვარი საშუალებით ცდილობენ „დაგვაბრუნონ საქართველოში“. ეს არის მოწმეების განადგურების ცდა.

მხოლოდ რამოდენიმე კვირის წინ არგენტინაში მცხოვრები რუსი ემიგრანტები, რომლებიც მოჰყვნენ საბჭოთა პროპაგანდის ბადეში, დაბრუნდნენ „ძველ სამშობლოში“. შეიძლება ზოგმა იფიქროს, რომ საბჭოთა მთავრობას ასეთ შემთხვევებში ჰუმანური გრძნობები ამოქმედებს? სრულებითაც არა.

ემიგრანტები, რომლებიც ფეხს დადგავენ საბჭოთა ტერიტორიაზე, ამ აქტიდ ისენი აღიარებენ კიდეც საბჭოთა რეჟიმს და თვითონვე უარყოფენ თავის უფლებას ილაპარაკონ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებაზე. ამით ჰკარგავენ იმ უფლებას, რომელსაც ადამიანს პოლიტიკური ემიგრანტობა ანიჭებს და ამგვარად მათი საკითხი სამუდამოდ იხსნება. საბჭოების განზრახვაც სწორედ ეს არის, ამ გზით აღწევენ თავის მთავარ მიზანს: მოსპონ პოლიტიკური ემიგრაცია, მათი ბოროტმოქმედების მთავარი მამხილებელი ძალა. დანარჩენს საბჭოეთისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

რა არის ჩვენი ამოცანა? რა უნდა შევასრულოთ ჩვენ ამ ქვეყანაში? ჩვენი ერის წინაშე აღიარებული პასუხისმგებლობა გვაკისრებს, რომ ჩვენი მუშაობით უნდა მოვახერხოთ, რათა საქართველოს საკითხი მუდამ ღია იყოს და ის არ დაიხუროს, არ მოისპოს.

შესანახია იდეა, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს უფლება თვითონ აირჩიოს მმართველობის ფორმა და ეს მას დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობას მისცემს.

როცა დრო დადგება ეს იდეა უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ყოველი არმია.

## რუსეთი და კომუნიზმი.

მიუხედავათ იმისა, რომ დასავლეთმა ხრუშჩოვი „მოთვინიერებულ“ კომუნისტად გამოაცხადა და ფიქრობს მისი ხელისშეწყობით, ეკონომიური დახმარებით და „დათმობით“ აღმოსავლეთ-დასავლეთ შორის „დაძაბულობის“ შენელებას, მაინც არავითარი ნიშანი არ არსებობს, რომ მომავალში კაცობრიობას ეღირსება მშვიდი და უშიშარი ცხოვრება.

ამის ახსნა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. უკანასკნელი „ხუთი საუკუნე რუსეთი თავის საბოლოო საზღვრების ძიებაშია, რომელიც ვერასოდეს ვერ იპოვა“ (ვილიამ ჯ. ბრეი).

ეს არის მონგოლებისაგან შეთვისებული პოლიტიკა: სხვისა მიწის, სხვისა ქონების მითვისების ჟინი და სიხარბე. ამას თანამედროვე კულტურულმა კაცობრიობამ შეგნებულად, თუ განზრახ, უწოდა „მსოფლიო კომუნიზმი“ და კომუნისტური აგრესია“.

„მოსკოვის სამთავრო წარმოიშვა და გაძლიერდა მონგოლების დახმარებით და ხელის შეწყობით“ (მ. პოკროვსკი), ამგვარად მოსკოვმა მმართველობის მონგოლური პრინციპი შეითვისა. „მონგოლების მფლობელობამ რუსეთი სრულიად დააშორა დასავლეთს და მას არ განუცდია ის იდეურ-პოლიტიკური ევოლუცია, რომელიც დასავლეთში აღორძინების ხანასთან მოჰყვა. მონგოლები თითქოს „რუსულ მართლ-მადიდებელ ეკლესიასაც კი იცავდნენ რომაულ კათოლიკური „მპყრობელებისაგან“. მონგოლების ამ გავლენის წყალობით რუსეთმა ვერ შეითვისა ინდივიდუალიზმი და თავისუფლების სული, რაც დამახასიათებელია დასავლეთის კულტურის და პირმშოა რენესანსის“

ინდივიდუალიზმსა და პიროვნულ სულს მოკლებულ ხალხში ჯოგური ხცოვრების თვისებამ დაისადგურა, რაც მარქსისტულ-კომუნისტური იდეოლოდიის საფუძველია და ამავე დროს აფსოლუტურად ეგუება რუსულ ნაციონალურ თვისებებს.

ამგვარად კომუნიზმი შერწყმულია რუსულ ტრადიციაში და ყოველი რუსის ბუნებაში. ეს კიდეც შველის მსოფლიოში გაბატონების მისწრაფებას და ხელს უწყობს რუსეთის საზღვრების გაფართოვებას. ეს კარგად ესმით კრემლის დღევანდელ ბატონებს და ამიტომ ეჭიდებიან კომუნისტურ ინტერნაციონალს. ჩვენს ეპოქაში ეს არის რუსული იმპერიალიზმის ხელში ყვლაზე უფრო ბასრი და თან მიმზიდველი იარაღი.

რუსეთს ომი არ უნდა, რადგან მისი შინაგანი ვითარება ომს ვერ გაუძლებს, მაგრამ მას არც მშვიდობიანობა უნდა. შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს მშვიდობიანობაც და გაბატონებაც და დამპყრობელობითი პოლიტიკაც. თუ მშვიდობიანობა გამეფდა, ეს ამარცხებს რუსულ აგრესიულ პოლიტიკას, თუ აგრესიული პოლიტიკა მოისპო, მოისპობა თვით ხრუშჩოვი და კრემლის დღევანდელი ლიდერობა, ხრუშჩოვი არჩევანის წინაშე იდგა და მან უკვე აირჩია ძალა-უფლება, რუსული აგრესიული პოლიტიკა და არა მშვიდობიანობა.

ეს მან გამოამჟღავნა სულ ახლო წარსულშიც: კაიროში ნასერს აღუთქვა „ყოველგვარი“ დახმარება იმპერიალიზმის წინაალმდეგ საბრძოლველად, ტოკიოში, გაიძვერა მიქოიანმა, იგივე გაიმეორა. ყველასათვის ცხადია, მათი პირიდან ამოსული „იმპერიალიზმი“ მხოლოდ დასავლეთს ეხება, მაშასადამე, ხრუშჩოვს ანტიდასავლეთური პროპაგანდა, არამც თუ არ შეუწყვეტია, არამედ მას კიდეც აძლიერებს და თვით დასავლეთის მიერ სულმოთქმული და შემონახული „ყოველგვარ დახმარებას“ პირდება ყველას, და კერძოდ, აფრო-აზიურ ხალხებს.

რუსეთი კომუნიზმს ისევე იყენებს თავისი იმპერიალისტური მიზნებისათვის, როგორც თავ-თავის დროზე გამოიყენა ქრისტიანულ-მართლმადიდებლობა და პანსლავური იდეა. ეს ერთი და უკანასკნელი იარაღი შემორჩა მოსკოვს თავისი იმპერიის შემოსანახავად და მისი საზღვრების გასაფართოვებლად.

მეორე მხრივ ეს ქარაგმა ამოიცნო რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებმაც და ამან წარმოშვა ე. წ. „ნაციონალური კომუნიზმი“.

დღეს ყველასაგან მივიწყებულია ქართველ კომუნისტების პირველი პლეადა, რომელმაც გაბედულად დაიძახა: მარქსმა თქვა პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით, მაგრამ მას არ უთქვავს, რომ რუსები და სომხები საქართველოში უნდა შეერთებულიყვნენო. ამის ავტორი „დედა რუსეთმა“ მალე გაამგზავრა საყვარელ მარქსთან...

უფრო დაგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იგივე განიმეორა ტიტომ. აქ მას ბედმა გაუღიმა და „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ ინტერესთა თამაშმა მას დამოუკიდებელი „კომუნისტური“ სახელმწიფო შეაქმნევინა.

დიდ ხანს იყო ბჭობა ჩინეთ-რუსეთის „იდეოლოგიურ“ უთანხმოებაზე. ბოლოს აშკარად გამომჟღავნდა, რომ ამ ურთიერთობას ეროვნული მომენტი სწყვეტდა და მაომ არამც თუ უარყო მოსკოვის „კარნახი“, და რუსის ხალხის „უფროსი ძმობა“, არამედ მას აშკარად დასდო ბრალი იმპერიალისტურ მისწრაფებებში და მას რადიკალურად წინ აღუდგა.

დღეს მთელ აფრო-აზიურ კომუნისტურ პარტიებში ყოველდღიურად ვამჩნევთ, თუ როგორ იზრდება მაოს გავლენა და იდევნება რუსული. ჩინეთისავე გავლენით და მხარდაჭერით პატარა ალბანიაც განთავისუფლდა რუსული „ძარცვისაგან“ და „საკუთარი კომუნისტური“ გზა აირჩია. ამავე მოვლენას ვხედავთ რუმინიაში, რომელიც აღშფოთებულია რუმინიის ეკონომიური დოვლათის რუსეთში გაზიდვით. პოლონეთმა უფრო ადრე მიიღო „ნაწილობრივი შეღავათი“ და მისი ავტონომიური უფლებები ყოველდღიურად იზრდება. ამგვაირად, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა იზრდება, ეს ქარიშხალი, თანდათანობით ძლიერდება და ედება მოსკოვის მიერ დამონებულ ერებს და ერთ დროს მთლიანი, მონოლიტური რუსული იმპერიალიზმი, (რომელსაც დასავლეთი დღესაც მსოფლიო კომუნიზმს უწოდებს) დაირღვა და ე. წ. „სატელიტური“ ქვეყნების კომუნისტურ პარტიებში წარმოიშვა ანტირუსული მოძრაობა.

ამ ბუნებრივი სულისკვეთების დროებითი შეჩერება შეიძლება, მაგრამ მისი მოსპობა არასოდეს. თავისუფლების მძლავრ იდეას ვერ დაატუსაღებს, ვერ გადაასახლებს რუსეთის საიდუმლო პოლიცია, ვერც რუსული ტანკები გასრესავენ მას და ერთხელ წარმოშობილი მოძრაობა თავის ლოღიკურ დასკვნამდე მივა.

მიუხადავათ ამისა, კომუნიზმი მაინც ჩვენი ეპოქის ყველაზე სერიოზული და ყველაზე სახიფათო საკითხია. ის ჯერ ისევ წარმატებით სარგებლობს ეროვნულად, კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. თავისუფალი დასავლეთის პირველი და გადაუდებელი მოვალეობაა სწორედ ამას მიაქციოს ყურადღება და შ. შ. ეკონომიური დახმარების პოლიტიკაც სწორედ ამით არის გამართლებული.

რამდენათ ეკონოიურად მოღონიერებულია ერი, კულტურულად ამაღლებული და ეროვნული თვით შეგნების მატარებელი, იმდენათ ნათლად ხედავს კომუნისტური პროპაგანდის დემაგოგიურ მხარეს და იმიჯნება მისგან. ა. შ. შ. ამ სწორე და ენერგიული პოლიტიკის წყალობაც არის „მსოფლიო კომუნიზმის“ რღვევის პროცესის დაწყება და გაღრმავება და ამას თანაბრად უნდა უწყობდეს ხელს, როგორც კომუნიზმის საკაცობრიო სიბოროტეში დარწმუნებული, ისე ეროვნულ-სახელმწიფოებრივობის აღსადგენად მებრძოლი ადამიანი.

ვ. სანგულია.

## აბრამ ლინკოლნი.

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ №61.)

უმაღლესი სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ: „კონგრესის აქტი, რომლითაც შეერთებული შტატების მოქალაქე კარგავს თავისუფლებას, ან საკუთრების უფლებას მხოლოდ იმიტომ, რომ ის გადასახლდა, ან თავისი ქონება გადაიტანა შეერთებვლი შტატების რომელიმე ტერიტორიაზე, თუ მას ამით არ დაურღვევია კანონი, არ შეიძლება ვიცნოთ სამართლიანად სამოსამართლო პროცედურის მიხედვით“.

ამით სასამართლომ ყველაფერი თქვა. იმ ეპოქაში ეს მიჩნეული იყო, როგორც პოლიტიკური სიბეცე და პოლიტიკურათ „ამაფეთქებელი ნივთიერების“ გარეთ გამოტანა.

ამ გარდაწყვეტილებას ლინკოლნი განსაკუთრებული ინტერესით შეხვდა, რადგანაც უმაღლესი სასამართლო რესპუბლიკანურ პარტიასაც ისევე არა კონსტიტუციონალურად სთვლიდა, როგორც მისურის კომპრომისს. რესპუბლიკანური პარტიის მთავარი დანიშნულება ხომ ის იყო, რომ მონათმფლობელობის განვითარება შეეზღუდა! ბუნებრივია, რომ ლინკოლნი და მისი მეგობრები სასამართლოს გარდაწყვეტილებას არა სთვლიდნენ სამართლიანად და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მომავალში ეს გაუქმდებოდა. იქამდე კი არავითარ სასამართლოს არ შეეძლო ჩრდილოელების რწმენის შეცვლა, რომ მონობა ყოველგვარი ადამიანური გრძნობის შემბღალველია. „ნიუ-იორკ ტრიბუნი“ ამის გამო სწერდა: „ამ ზნეობრივათ დაბალ და უსამართლო გარდაწყვეტილებას არა აქვს უფრო მეტი მორალური ძალა, ვიდრე იგივე დადგენილება მიეღოთ ვაშინგტონის რომელიმე ყავახანაში შეგროვილ ხალხის უმრავლესობას“-ო.

ყველა ის დაწესებულებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ქვეყნის მთლიანობის წყობას წარმოადგენდნენ, განიცდიდნენ თავდასხმებს. ვიგების პარტია, რომელიც კომპრომისების პარტიათ ითვლებოდა, მისი მოუთმენელი დაპოლიტიკურ ალღოს ნაკლულოვანი წევრების წყალობით ირღვეოდა და ჰკარგავდა მნიშვნელობას. პირსისა და რიუკენენის მერყეობის წყალობით თვით პრეზიდენტის თანამდებობამაც დაკარგა გავლენა და ავტორიტეტი და მან დემოკრატიული პარტიაც დაასუსტა. დუგლასმა თავისი „ნებრასკისკანონით“ ყოველგვარი აზრი დაუკარგა „სახალხო სუვერენიტეტს“ რამაც ადგილობრივი პარტიების ჩამოყალიბება გამოიწვია. ბოლოს კი, ჩრდილოელების უმრავლესობაში თვით უმაღლესმა სასამართლომ დაკარგა მორალური ავტორიტეტი და გავლენა.

ნებრასკის კანონმა და დრედ სკოტის გამო მიღებულმა განაჩენმა დაარღვია მთელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გააძლიერა ერთად-ერთი, ახლად წარმოშობილი რესპუბლიკანური პარტია. ხოლო ლიდერთა შორის გაძლიერდა და განმტკიცდა აბრამ ლინკოლნის სახელი. ამ აფორიაქებულ სულისკვეთებაში, შტატებ შორის არსებულ შეურიგებლობაში, კავშირის მომხრეთა იმედის მფენი მაღალი ზნეობის და მტკიცე ნებისყოფის ლინკოლნი ღა იყო. ლინკოლნისავე შტატის დემოკრატ სენატორ სტივენ დუგლასის გამოუსწორებელმა შეცდომამ მკაფიოდ გამოამჟღავნა ლინკოლნის მაღალი ღირსებები.

დუგლასი საკმარისად ჭკვიანი იყო რათა ეგრძნო ლინკოლნის ძალა. მან ვაშინგტონში გაიგო, რომ რესპუბლიკანელებმა 1858 წ. სენატში, დუგლასის საკონკურენტოდ წარადგინეს ლინკოლნის კანდიდატურა და თავის მეგობრებს უთხრა: „ლინკოლნი ყველაზე ძლიერი პიროვნებაა თავის პარტიაში, მისი იუმორი, ფაქტების და დატების ცოდნა და გამოყენება და მეტყველობის უნარი მას დასავლეთის საუკეთესო პროპაგანდისტობას ანიჭებსო“.

დრედ სკოტის გამოც მოუხდა სენატორ დუგლას ლინკოლნთან დაპირისპირება. სენა-

## დამოუკიდებლობის დღე უცხოეთში.

**შეერთებული შტატები. ნიუ-იორკი.** მაისის 24 სასტუმრო რუზველტის „ვანდერბილდის“ დარბაზში ქართული სათვისტომოს გამგეობამ იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის 46 წლისთავი.

ქართულ-ეროვნულ და ამერიკული დროშებით მორთულ საზეიმო დარბაზში მრავლად მოიყარა თავი, როგორც ქართველმა თანამემამულეებმა, ისე უცხო სტუმრებმა.

მთავარი მომხსენებელი იყო სათვისტომოს თავმჯდომარე დრ. ო. ზალდასტანიშვილი. მან ღრმა ანალიზი გაუკეთა შექმნილ მდგომარეობას და ხაზი გაუსვა ქართველი ემიგრაციის ღრმა როლსა და დანიშნულებას. „შესანახია იდეა და როცა დრო დადგება, ეს იქნება ყოველ არმიაზე უფრო ძლიერიო“, განაცხადა თავმჯდომარემ, რითაც ახალი სული ჩაბერა ჩვენ განმათავისუფლებელ ბრძოლებს და ახალი გზა დაგვისახა. ქართულ ენაზე სიტყვა წარმოთქვა ბ-ნ ალ. ჩხენკელმა. (ჩვენი მკითხველი გაზეთის ამავე ნომრიდან გაეცნობა, როგორც დრ. ზალდასტანიშვილის, ისე ბ-ნ ჩხენკელის მოხსენებას) ბ-ნ თ. ბაგრატიონმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მოსალოცი წერილები და დეპეშები, რომლის ერთი ნაწილი აქვე იბეჭდება.

სტუმრებ შორის აღსანიშნავია: ფრანგი პრ. პ. კურტინი და კოლ. გ. იტელი, ბელორუსიელ ამერიკული საზოგადოების თავმჯდომარე ს. სტანკევიჩი, „თავისუფალი ევროპის“ წარმომადგენელი ჰ. ბრუნაკსი, დაპყრობილ ევროპიელ ერების გაერთიანების და თავისუფალი ალბანიის წარმომადგენელი ვ. გერმენტი, ჰუსან იკრამი, საბჭოთა კავშირის მუსულმანური ქვეყნების გაერთიანების დელეგატი, თავისუფალი რუმინიის წარმომადგენელი პრ. პოპი, ამერიკელ ყოფილ მეომართა საზოგადოების წარმომადგენელი კაპ. უოდსპუნი, საბჭოთა კავშირის არა რუს ერთა გაერთიანების თავმჯდომარე იერემა და სხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

რადიო თავისუფლების კომიტეტის თავმჯომარეს წარმოადგენდა მისი მოადგილე ბ-ნი ა. ედიგაროვი.

**საფრანგეთი. პარიზი.** საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომომ საქართველოს დამოუკიდებლობის 46-სე წლისთავი იდღესასწაულა პარიზის 14-ტე უბნის სამმართველოს საზეიმო დარბაზში.

საზეიმო კრების საპატიო თავმჯდომარის ადგილს ამშვენებდა საფრანგეთის ყოფილი მინისტრი არტურ კონტი.

საზეიმო სიტყვების და მილოცვების შემდეგ სათვისტომოს გამგეობამ დამსწრე საზოგადოებას მოუწყო ვახშამი: ქართული ცეკვით, მუსიკით და სხვა სანახაობით.

**არგენტინა. ბუენოს-აირესი.** იქაურმა სათვისტომოს გამგეობამ მოაწყო რადიოგადაცემები საქართველოს ეროვნული უფლებების, მისი კულტურის და დიადი წარსულის შესახებ. გადაცემებს დართული ჰქონდა ქართული მუსიკა

აგრეთვე ბუენოს-აირესის რამოდენიმე გაზეთში დაიბეჭდა ვრცელი მიმოხილვა საქართველოს შესახებ.

**მოსკოვი, მაისის 14-ს. (გაერ. საინ. ბიურო)**

პეკინის საწინააღმდეგო მოქმედების ახალ ფაზაში, რათა არა რუს კომუნისტურ პარტიებს დაუმტკიცოს თავისი სიმართლე, მოსკოვი აცხადებს, რომ ჩინეთი იმპერიალისტური ქვეყანაა და „კომუნიზმის პრინციპების მოღალატე“.

მოსკოვში მყოფი უცხოელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ მოსკოვს განზრახული აქვს პეკინი განდევნოს მსოფლიო კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებიდან.

**მოსკოვი, მაისის 4-. (როიტერის სააგენტო).**

რუსეთმა დღეს გააძევა ებრაელი შენფერი, ჟურნალ „ტაიმ“-ის კორესპონდენტი და ჟურნალის რედაქციას მისცა წინადადება დაკეტოს თავისი ბიურო, რადგან (როგორც საბჭოელები ამბობენ) გასულ თვეში სათაკილო ამბავი გამოაქვეყნა ლენინის შესახებ.

**მოსკოვი მაისის 4-ს. (გ. ს. ბ. )**

საბჭოთა კავშირი ბრალსა სდებს ჩინელ კომუნისტებს ,რომ ისინი ცდილობენ „ჩინური კედლის“ აღმართვას თეთრი, ყვითელი და შავკანიან მოდგმათა შორის. რასისტული თეორია აშკარად სჩანს საბჭოთა კავშირს და აფროაზიურ ქვეყნებ შორის.

## † აკაკი პაპავა.

„მშვიდობით და გთხოვ: რომ ჩემი გვამიც
თუ დაიცხრილა ქალაქის გარეთ,
დამწვით და ფერფლი ჰაერნასვამი
პოეტებს თავზე გადააყარეთ!“

ასეთი იყო განწყობილება იმ თაობის, იმ ქართველ მამულიშვილთა დასის, რომლებიც ეზიარნენ ეროვნულ თავისუფლების იდეას; რომლებმაც სიამაყით შეაღეს საქართველოს „ურყევი პალატის“ კარები და ქვეყნიერებას ამცნეს, ჩვენი ქვეყნის კვლავ აღდგენა და მისი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

ამ სახელოვანი თაობის, სახელოვანი შვილის მაჯისცემა ორიოდე დღის წინ შესწყდა...

თავზარდამცემია აკაკი პაპავას გარდაცვალების ცნობა, აუნაზღაურებელი დანაკლისი და შეუვსებელი მისი ადგილი...

მუდამ იმედიანი, მომქმედი და ენერგიული სიყვარულითა და სასოებით დასტრიალებდა ყოველ ქართულ გამოვლინებას და საქართველოს მარადიულობის იდეას. მის იმედებს ფრთებს ასხავდა არქეოლოგიური გათხრების ახალ-ახალი აღმოჩენები, რითაც მტკიცდება, თუ რა დიდი წვლილი შევიტანეთ მსოფლიო კულტურის სალაროში და „სამიათას შვიდას წლიანი თრიალეთის თასით“ გამუდმებით სვავდა ქართველი ერის სადღეგრძელოს.

აკაკი პაპავა წინა თაობის ერთი იშვიათი და წარმტაცი პიროვნება იყო, რომელიც არ მოსწყდა წარსულს. არ ჩამორჩა აწმყოს და მაღალი აღტყინებით უზიარებდა ემიგრაციას ყოველ ახალ აღმოჩენას, რომლითაც მტკიცდება საქართველოს სიდიდე და სიდიადე; რომლის ისტორიაც „ოთხიათასი წლის სიღრმეში იკარგება და ჯერ კიდევ დასასრული არ უჩანს.“

განსვენებულს ეს ახალ-ახალი მიღწევები გულს უხალისებდა და მომავლის რწმენას უძლიერებდა, მაგრამ... „ვინ გარდივლენს განგებისა გარდავლენას?“ ჩვენ მცხოვან მოღვაწესაც მრისხანე ბედისწერამ სწორედ მაშინ მოუსწრო, როცა „თრიალეთის თასით ხელში“ საქართველოს ახალ სადღეგრძელოს შესმას აპირებდა...

სულ ორიოდე კვირის წინ მწერდა: „გულში ჩაიდეთ და არ დაივიწყოთ, რომ აგვისტოს დამლევს 40 წელი სრულდება 1924 წ. საქართველოს ცნობილ აჯანყებიდან“, მაძლევდა რჩევას და დარიგებას, თუ როგორ უნდა აღგვენიშნა ქართული სულის უძლიერესი აღმოხეთქვა და თან მპირდებოდა: „თუ საჭიროა მე მივმართო ვინმეს, რომ დაგვეხმარნენ, მაცნობე ვის?... ჩემი იმედი კი გქონდეთო...“

ასეთი იმედის მომცემი და წამახალისებელი იყო, სულით ახალგაზრდა და გაუტეხელი მამულიშვილი, რომლის ერთმა ასულთაგანმა დღეს გვაცნობა „მამა გარდაიცვალაო“.

უცხოეთში გაბნეულ ქართველ მამულიშვილთა გაბნეულ საფლავებს, რომლებსაც ღვთით მინიჭებული სინაზითა და სათნოებით დალოლიავებდა ქალბატონი თამარი, დღეს ერთი კიდევ მიემატა... და ეს ერთი, თვით ქალბატონი თამარის ცხოვრების ხანგრძლივი თანამგზავრი, მეგობარი და მეუღლისაა...

ძნელია დღეს მიღებულ „სამ სიტყვიანი“ დეეშის გავლენის ქვეშ იმსჯელო ღვაწლმოსილ ადამიანზე. მით უფრო ძნელია ამ იარის „მოშუშებამდე“ ქალბატონ თამარს მივმართოდ ამა თუ იმ ცნობების მისაღებად... გაზეთი კი, უკვე შეკრული, საბეჭდ მანქანაშია და უცდიან, თუ რომელი გვერდი დაირღვევა და „როდის გარდიხდის გარდასახადსა“ აღსრულებული უფროსი მეგობრის, მრჩეველის, „ქართული აზრის“ მუდმივი თანამშრომელის და მისი დამამშვენებელის მიმართ, გაზეთის რედაქცია და ამ დანაკლისით სულიერ წონასწორობა დაკარგული რედაქტორი...

აკაკი პაპავას აღსრულება და მისი ამ ქვეყნიდან განცლა ბორბალქარივით გადაურბენს ჩვენს ისედაც შეთხელებულ „ბრძოლის რაზმებს“ და მას საფუძვლიანად შეარყევს.

ძველი, გამოცდილი, თითებზე ჩამოსათვლელ მებრძოლებიდან განსვენებულ აკაკის, არამც თუ თავისთვის ჰქონდა შემორჩენილი ახალგაზრდული ენტუზიაზმი, არამედ შემოქმედს ის უნარიც უამრავად მიუფრქვევია, რომ სხვისთვისაც გადაედო. სხვაც აღენთო სამშობლოსადმი მიძღვნილობის პათოსით.

რაც მეტად შეთხელდა წინა თაობის რიგები, იმდენი მეტად განვიცდით ამ აუნაზღაურებელ ნაკლსა და „ნეკზე კბენით“ ვიგონებთ ყოველ „კრიტიკულად“ წარმოთქმულ სიტყვას. ვნანობთ, რომ ჩვენი წინა თაობისაგან წარმოებული დინჯი, მოფიქრებული და ამავე დროს მტკიცე და გაბედული ბრძოლის საშუალებები მთლიანად ვერ ვიანდერძეთ, ვერ შევიმცნეთ...

განსვენებულ აკაკის შორი გზა აქვს გამოვლილი... ის იყო საქართველოს „მოწამეთობის“ შეთქმული; თვით მემატიანე,—ქართლის ცხოვრების ბედით და უბედობით გულგამსჭვალული, მასზე განუყრელად შეუღლებული

აკაკი პაპავა ქართველ მწერალთა კავშირის თავისუფლად არჩეული პირველი თავმჯდომარის,—სულმნათ კოტე მაყაშვილის პირველი მოადგილე იყო. იმ დროიდან მოყოლებული, როგორც იქ, საქართველოში, ისე ემიგრაციაში, მისმა კალამმა მრავლად შექმნა მაღალი ღირსების ქანდაკებები.

ჩვენ გვწამს, რომ მადლიერი ქართული საზოგადოება ღირსეულად დააფასებს მის შემოქმედებას და მის როლსა და დამსახურებას ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამ მოლოდინში დღეს დროებით ვწყვეტავთ საუბარს... ვინ მოსთვლის სად არ არიან გაბნეული ქართველ მამულიშვილთა საფლავები... აკი ერთმა პოეტმაც მწუხარებით დაიძახა:

„ირანს, თურანს, ავღანისტანს,
„ყველგან ჩვენი ძვლები ჰყრია,
„ერთ სამეფოს წალეკავდა,
„ჩვენ რომ სისხლი დაგვიღვრია“-ო.

არგენტინის მიწამაც ხარბათ ჩაიკრა გულში ქართველი მამულიშვილი, რომლის უკანასკნელი ამოსუნთქვა საქართველო იყო.

ინუგეშებდეთ, ქალბატონო თამარ, ინუგეშებდეთ ასულნო მისნო... ინუგეშებდეთ, რადგან აკაკი იმ გუნდს შეუერთდა, რომელიც უკვდავებაში გადასული მარად დალოლიავებს სამშობლოს იდეას.

მ. სინდიკელი.

## მოთვინიერდა ხრუშჩოვი?

გაერთიანებულ ერებში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „მისი მთავრობა მოითხოვს რათა დეკოლონიზაციის კომიტეტმა საბოლოო ლიკვიდაცია მოახდინოს კოლონიალური პოლიტიკის 1965 წლის დამლევამდეო“.

ცხადია, ამ ჯერათაც არავინ აღმოჩნდა შეჰკითხებოდა ბ-ნ ნ. ფედერენკოს თუ რას აპირებს თვით მისი მთავრობა რუსეთში? აქვს თუ არა თვით მყოფობის და მზის ქვეშ არსებობის უფლება საქართველოს, სასომხეთს, უკრაინას, თურქესტანს, ყაზახისტანს, ბელორუსიას, ჩეხოსლოვაკიას, ბულგარეთს, უნგრეთს, აღ. გერმანიას, ბალტიის ქვეყნებს და სხ., რომლებიც რუსეთმა რკინის ფარდაში მოამწყვდია და ჯერ კიდევ არ გაგონილი მრისხანებით ფლობს და ითვისებს მათ ეროვნულ დოვლათს.

ამავე დროს ფედერენკო იმუქრება, რომ მისი მთავრობა ხელს შუწყობს და დაეხმარება თავისუფლებისთვის მებრძოლ ყველა ერებს; აფრიკაში, აზიაში და აღმოსავლეთშიო. (რა დააშავეს ევროპის უფრო ტრადიციულმა და კულტურულმა ერებმა?!) რუსეთი „ეროვნული თავისუფლებისთვის“ მებრძოლ ქვეყნებს პირდება ფინანსიურ, მატერიალურ და მილიტარულ დახმარებას. თვითონ სასოწარკვეთილებამდე მისული, რომელსაც დასავლეთის და უხმარებლად სულის მოთქმა არ შეუძლიან, სხვებსა პირდება დახმარებას! დასავლეთმა არც ამ შემთხვევაში გაანძრია გონება და არა სთქვა ან შეაჩერე ეს ლაზღანდარული პროპაგანდა, ან ამოგახრჩობ შენივე სისულელით შექმნილ ეკონომიურ კრიზისშიო.

ამ იდეებისა და პრინციპების აღრევის პერიოდში, მართლაც, რომ იტყვიან „ძაღლი პატრონს ველარა სცნობს“!

***

ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილმა ჟურნალისტი ე. ა. მაურერი „დეილი ნიუსის“ იანვრის 24-ის ნომერში შეეხო რა ჩინეთ-მოსკოვის უთრიერთობას, განაცხადა:

„წითელი ჩინეთის მოწოდება საბჭოთა კავშირის არა რუს ერებისადმი და მისი ძლიერი მხილება კრემლის რასულ, ან „ველიკორუსულ შოვინისტური“ პოლიტიკის, შეერთებულ შტატებს კონტრშეტევის საუკეთესო შესაძლებლობას აძლევსო“.

„გასული წლის ივნისში ჩინეთის კომუნისტური პარტის ცენტრალური კომიტეტი, ღია წერილით ბრალსა სდებდა რუსეთს, რომ „თავის თავსა სთვლის მაღალ რასათ და ამიტომ ბრძანებლის როლში გამოდის მისგან დაპყრობილ ერთა მიმართ“. ეხლა ჩინელები უმტკიცებენ რუსეთს, რომ მოსკოვი თანასწორად არა სცნობს საბჭოეთის საზღვრებში მოქცეულ არა რუს ეროვნებებს. გასულ სექტემბერში წითელი ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ „საბჭოთა ბლოკის მცირე რიცხოვანი ერები, რუსეთს ეკონომიურად დამონებული ჰყავსო“.

„ეს სრული ჭეშმარიტებაა. აშკარად სჩანს მოსკოვის მადის ზრდა იმ ერების მიმართ, როგორიც მაგ., რუმინიაა, რომელიც ცდილობს ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოებას“.

„ყველამ იცის, რომ ჩინეთიც შეიცავს თავის ბუნებაში მსგავს თვისებებს, მაგრამ ფაქტი უცვლელი რჩება: საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ნახევარზე მეტი „ველიკოროსები“ არ არიან, მაშინ, როდესაც ჩინეთის დღევანდელი იმპერიის დიდი ნაწილი ჩინელებია“.

„საუბედუროთ, დასავლეთი უდიდეს შეცდომას უშვებს, რომ პეკინ-მოსკოვის ამ ნაკვერჩხალს უფრო არ აღვივებსო“

„არც ერთი დასავლეთის ქვეყანას არ უცდია მტკიცე გარდაწყვეტილებით მოითხოვონ საბჭოეთის შინა კოლონიალური ქვეყნებისათვის თვითგამორკვევის უფლება, როგორიც არის უკრაინა, საქართველო, სასომხეთი და სხ.

ასეთია პატიოსანი „დასავლეთელის“ პატიოსნური მიდგომა თავისუფლების პნინციპის მიმართ.

## აბრამ ლინკოლნი.

(დასაწყისი იხ. 5-თე გვ.)

ტორი იცავდა სასამართლოს გარდაწყვეტილებას საკუთარი „დოქტრინის“ განვითარებით, რომ მოსახლეობამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს მონობის საკითხი. მისი აზრით მოქალაქეს შეუძლიან თავისი მონის იქ წაყვანა, სადაც „მესაკუთრე“ გადასახლდება. თუ გადასახლება თავისუფალ ტერიტორიაზე მოხდა მონათმფლობელის უფლება მაინც ძალაში რჩებაო. წინააღმდეგ შემთხვევაში—დუგლასის აზრით—ირღვეოდა კერძო საკუთრების პრინციპი. ამასთან დაკავშირებით მან განაცხადა: მთელი რესპუბლიკანური პარტია არა კონსტიტუციონალურიაო და დასძინა: „ყველა, ვინც წინააღმდეგობას უწევს უმაღლეს სასამართლოს, სასიკვდილო ლახვარსა სცემს ჩვენი მმართველობის სისტემას“-ო.

ამ განცხადებამ ლინკოლნს შესაძლებლობა მისცა დუგლასისათვის არა სასურველი და უსარგებლო საკითხი დაეყენებინა. კერძოთ: ვის ფუნქციაში შედის გადაწყვეტა კონსტიტუციონალურია თუ არა და საზოგადოთ ამერიკის სახელმწიფოებრივობის საკითხი და განაცხადა: პრეზიდენტი და კონგრესი ყოველთვის უნდა ემორჩილებოდნენ უმაღლეს სასამართლოს, თუ მართალი იყო პრეზიდენტი ჯექსონი, როდესაც ვეტოს დადების დროს განაცხადა: „ყოველი ადამიანი თანამდებობის მიღების წინ ფიცსა სდებს, რომ დაიცავს კონსტიტუციას, ისე როგორც ეს მას ესმის და არა ისე, როგორც ეს სხვებს ესმით“? უფრო გვიან, სამოქალაქო ომის წლებში ლინკოლმს ხშირათ მოუხდა ამ საკითხთან შეხლა.

არ. დონაური.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ მაისის 7-ს, რომში, (იტალია) გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილი კონსული, იქაური სათვისტომოს თავმჯდომარე

**გიორგი აფხაზი.**

„ქართული აზრი“-ს რედაქცია სამძიმარსა და თანაგრძნობას უცხადებს მის მეუღლეს, ნათესავებს და მეგობრებს.

დიდი მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ მაისის 18-ს, საფრანგეთში, უბედური შემთხვევით დაიღუპა

**გაიოზ ჩხეიძე.**

„ქართული აზრი“-ს რედაქცია ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის მშობლებს, ნათესავებს და მეგობრებს.

**„ამერიკულ-უკრაინული პრესა“ ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს ქართულ ენაზედაც.**
**114 St. Mark,s Place New York 9, N. Y.**

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს** შემდეგი მისამართით:
*Mr. G. Djakeli*
*561 W. 141 St., N. Y. C.*
**ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

*EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.*